ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 მარტი, 2021 №38 (8567) ფასი: 60 თეთრი

არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილსა და ვახტანგ ჩიქოვანს გიორგი შაქარაშვილის მკვლელობისთვის 16-16 წელი მიესაჯათ

გვ.5

გვ.5

ზ.შ.-მ ცოლს დაარტყა, რომელსაც 8 თვის ბავშვი ეჭირა ხელში, ბავშვი გარდაიცვალა

რა მოხდა გურჯაანში

„ღარიბაშვილის გადაყენება „ოცნებას“ არ უშველის“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოცნებისა“ და ოპოზიციის მოლაპარაკებები მშვიდად არ დასრულდება“

„ქვეყანას პრემიერ-მინისტრი არ ჰყავს, ყველაფერი ბერას მამაა“

გვ.3

გურამ ჩალაგაშვილი: „შარლ მიშელის წარმომადგენელი ჩამოდის სასწრაფოდ საქართველოში. ეს რას ნიშნავს, იცის „ოცნებამ“?!

ანა ნაცვლიშვილი: „ოცნების“ ინტერესებშია პრემიერის გადამალვა“

„პროკურატურა იმ გზას გაჰყვა, რაც მმართველმა პარტიამ უკარნახა“

გვ.2

გვ.4

„ოცნებაც“ და ოპოზიციაც რუსულ თამაშში მონაწილეობენ“

მამუკა გიორგაძე: „კინკლაობა მიდის ნიკა მელიაზე. ჯერ იმაზე დაობდნენ, უნდა დაეკავებინათ თუ არა. მისი დაკავება ზოგისთვის კანონის აღსრულებაა, ზოგისთვის – პოლიტიკური დევნა“



გვ.2

კალაძის „ოცნებიდან“ წასვლა რამდენიმე დღეში გაფორმდება

მეუფე იაკობი: „ფარულ ჩანაწერებს მთავრობა ერთხელ უკვე გადაჰყვა“

გვ.2

ISSN 1987-9385

4 არჩილ თალაკვაძე: „ღარიბაშვილს პოლიტიკურ მხარდაჭერას ვუდასტურებ“

5 პროკურატურამ ბერა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის საუბრების ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო

5 შსს-ს მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმებისთვის ახალი შენობა გაიხსნა

6 სირიის დიქტატორი კორონავირუსით დაავადდა

ანა ნაცვლიშვილი: „ოცნების“ ინტერესებშია პრემიერის გადამალვა“

„პროკურატურა იმ გზას გაჰყვა, რაც მმართველმა პარტიამ უკარნახა“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „ტვ პირველის“ ეთერში გასულ ფარულ აუდიო ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, სადაც მთავარი ფიგურანტები ირაკლი ღარიბაშვილი, ბერა ივანიშვილი და ანზორ ჩუბინიძე არიან. იმის მიუხედავად, რომ ჩანაწერების მიხედვით იკვეთება ახალგაზრდების, მათ შორის არასრულწლოვნების მიმართ მუქარა და ბულინგი, რაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია, პროკურატურა მაინც ჩანაწერების მოპოვების კანონიერებას იკვლევს, რაც ბევრ კითხვას იწვევს.

რამდენად სწორი კვალიფიკაციით დაიწყო გამოძიება, უნდა ჩაერთონ თუ არა საერთაშორისო გამომძიებლები და რა საფუძვლით, დამიიღებს თუ არა მონაწილეობას ღარიბაშვილის მონაწილეობით წარმართულ მოლაპარაკებებში „ლელო“? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ანა ნაცვლიშვილი** საუბრობს:

– ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, მაგრამ დაიწყო მის კანონიერებასთან დაკავშირებით. სწორი კვალიფიკაციით დაიწყო თუ არა გამოძიება?

– არა. პირველ რიგში გავიხსენებ, რომ როდესაც ეს ჩანაწერები გამოქვეყნდა და სიუჟეტი გავიდა ეთერში, პირველი რეაქცია „ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან იყო ავტომატური უარყოფა, რომ აქ არაფერი არ იყო გამოსაძიებელი. რა არის გამოსაძიებელი, 2010 წლის ჩანაწერია და საერთოდ რას ვიძიებთო. 24 საათის გასვლის შემდეგ შეიცვალა მათი მესიჯები და პოლიტიკური პირების მხრიდან დაიწყო ახალი გზავნილები, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს და სწორედ ჩანაწერის მოპოვების და გავრცელების მიმართულებით.

ამ პერიოდის განმავლობაში პროკურატურა დუმდა. გასაგებია, რომ დასვენების დღეები იყო, მაგრამ ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ამ დასვენების დღეების განმავლობაში იმ გზას გაყვა პროკურატურა, რაც წინა დღეებში უკარნახა მმართველმა პარტიამ. თავიდან იძახდნენ, არაფერი არაა გამოსაძიებელიო, შემდეგ თქვეს, გამოსაძიებელია საიდან გაჟონა და ვინ ჩაწერაო. ზუსტად ამას იძიებს პროკურატურა.

კანონი პროკურატურისგან სხვა რამეს ითხოვს. ამიტომ ვამბობ, რომ პროკურატურა კანონს კი არ მიყვება, არამედ მმართველი პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგს და ეს მარტივად ჩანს. ამ მოცემულობაში გვაქვს ჩანაწერები, მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოს განცხადებები, რომ ასეთი საუბარი იყო, მაგრამ მოჭრილია და 2010 წლის არის. მაგრამ მსგავსი ტიპის შინაარსს ადასტურებენ, რაც იყო. ასევე ამ ეტაპზე დასადგენია ის, თუ რა ნაწილია სიმართლე და რა – არა.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ დღეს ჩვენ მხოლოდ ფარულ ჩანაწერებზე არ ვსაუბრობთ. კონკრეტული ადამიანები გამოვიდნენ და ყვებიან, რაც მათ და მათ მეგობრებს გადახდათ. ანუ, ჩვენ გვაქვს ჩანაწერები და ირიბი მოწმეები. რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ ეს ირიბი მოწმეები, გამოძიება უნდა წარიმართოს ამ განცხადებების საფუძველზე და ასევე პოლიტსაბჭოს წევრების განცხადებებზე. ამიტომ გამოძიების დაწყება მხოლოდ ჩანაწერსა და მის მოპოვებაზე, ცხადია, რომ უკიდურესად ცალმხრივი მოქმედებაა.

ტელევიზორს არ უყურებდა მთავარი პროკურორი. ცხადია, რომ ვერ გავამართლებთ ამ ამბავს იმით, რომ დასვენების დღე იყო. პროკურატურა ხმას არ იღებს და შემდეგ ახორციელებს ქმედებას და ერთი ერთში იმეორებს იმას, რაც წინა დღეებში აკეთებდა მმართველი პარტია. უფრო მეტიც, რა ტიპის მითითებებსაც აძლევდნენ საჯაროდ პროკურატურას. ეს ხომ ნათელია?!

– ანუ, პოლიტიკური მართლმსაჯულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ესეც არის და ეს გამოჩნდა ამ საქმით?

– ცხადია, მაგრამ მე მტკიცებულებებით მინდა მოვუყვე თქვენს მკითხველს, რატომ ვფიქრობ ასე. ზუსტად

რა თქმა უნდა, ვინ ჩაწერა, ეს ერთ-ერთი გასარკვევი საკითხია, რადგანაც საყურადღებო თემაა, მაგრამ გაცილებით უფრო საყურადღებო თემაა, რომ ქვეყნის პირველი პირი და ერთ-ერთი ძალოვანი უწყების მაღალი თანამდებობის პირი ამ ტიპის საქმეებში იყვნენ ჩართულები თუ არა. ამას პროკურატურა არ იძიებს, თითქოს არ ჩანდეს არც ამ ჩანაწერებსა და არც ადამიანების მონათხრობებში. ანუ გვეუბნებიან, რომ ოთახში კუდია და არაფერს ამბობენ სპილოზე.

– საინტერესოა ისიც, სად არის ამ დღეების განმავლობაში ღარიბაშვილი და რატომ დუმს?

– ღარიბაშვილის დუმილი მხოლოდ და მხოლოდ ეჭვების გამამყარებელია. იმიტომ, რომ ყველა ნორმალური ადამიანის რეაქცია იქნებოდა ძალიან შეწუხებული და პირდაპირ გამოვიდოდა და იტყოდა, რომ მე აბსოლუტურად უდანაშაულო ვარ ჩემო მოქალაქეებო, მაგრამ ვინაიდან ასეთი ეჭვი გაჩნდა, მე თანამდებობრივად გავიწევი გვერდზე და ამავდროულად ყველაფერს გავაკეთებ შესაძლებლობების ფარგლებში, რომ გამოძიება წარიმართოს ობიექტურად. ამისთვის კი საჭიროა ორი რამე: ერთი უშუალოდ ღარიბაშვილის ხელშია, რომ გაიწიოს, ანუ გადადგეს და მეორე ის, რომ ჩაერთონ საერთაშორისო აქტორები. მას შეუძლია ბოლო აქტი შეასრულოს საერთაშორისო მისიის და მერე გაიწიოს გვერდზე.

– ღარიბაშვილი სავარაუდოდ რჩება მოლაპარაკებებში „ოცნების“ სპიკერად. „ლელო“ არ ეთანხმებოდით ამას, მაგრამ ოპოზიციამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. რჩებით თქვენ პოზიციაზე?

– „ოცნების“ ინტერესებშია, რომ გადამალოს თავისი პრემიერი და არ გამოაჩინონ. ასეთი შელახული სახე „ოცნებისთვისაც“ კი უხერხულია. შესაბამისად, ჩვენი პოზიცია უცვლელია. იცით, რომ პროცესს არ ვშლიან.

– დასხდებით მოლაპარაკებებზე?

– ღარიბაშვილი არ უნდა იყოს.

– თუ იქნება?

– არა, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და „ლელო“ არ იქნება იმ შეხვედრაზე. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ არ იქნება. ღიად არ აღიარებენ ამას, მაგრამ პრობლემას აცნობიერებენ.

მეუფე იაკობი: „ფარულ ჩანაწერებს მთავრობა ერთხელ უკვე გადაჰყვა“

ჩანაწერებს ხელისუფლება ერთხელ უკვე გადაჰყვა.

ამის შესახებ ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი შეფასებით, ფარული ჩანაწერების მომზადების ბერკეტი როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციასაც აქვს.

– ვფიქრობ, ნებისმიერი უკანონო ჩანაწერი, ვის მიმართაც არ უნდა იყოს, უკანონო ჩანაწერს ვინც აკეთებს, რატომ აკეთებს? ეს არ უნდა წავახალისოთ. მერე ტელევიზიები რაღაცნაირად ახალისებენ ხოლმე. ჩანაწერებს ხელისუფლება ერთხელ უკვე გადაყვა. ვინ იწერს მერე საქართველოში? ვიცი, რომ კონკრეტულ პარტიებსაც შეუძლიათ ჩაწერა. აბსოლუტურად ყველას შეუძლია, ბერკეტები ყველას აქვს, აპარატურაც, გვარებიც ვიცი, ვისაც აქვს. ხელისუფლებასაც ოფიციალურად აქვს და ოპოზიციას არაოფიციალურად, – აღნიშნა მეუფე იაკობმა და ამ კონტექსტში ნაციონალური მოძრაობა ახსენა.

მან ე.წ. ციხის კადრებზეც ისაუბრა და აღნიშნა:

– ციხის კადრები რა იყო, არ ვიცი, მაგრამ ციხეში რომ ბევრი ცუდი ხდებოდა, მთავრობა ამას გადაყვა, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

როგორც მან განმარტა, გავრცელებული ფარული ჩანაწერები არ მოუსმენია.

– მართლა არ მომისმენია და არც ვაპირებ, რომ მოვისმინო იმიტომ, რომ ეს ტელევიზიები ზოგჯერ ისეთ რამეს ავრცელებენ, ბევრ რამეზე ნდობა დაკარგული მაქვს. იმ პროცესებს, რასაც ვუყურებ, არ ვინტერესდები გარეთ რა ხდება, ეს პოლიტიკური პარტიები რას გააკეთებენ და რას არა. ჩაწერები ბევრს ეხერხება, რაც უნდა იყოს. ჩანაწერები არ მომისმენია და, სავარაუდოდ, არც მოვისმენ, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

ირაკლი ღარიბაშვილი კელი დეგნანს შეხვდა

გუშინ, 9 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში კელი დეგნანს შეხვდა.

ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ოფიციალურ გვერდზე ვრცელდება.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ აშშ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია და ხელისუფლება აფასებს ოფიციალური ვაშინგტონის მტკიცე მხარდაჭერას არაერთი მიმართულებით, მათ შორის, როგორც ქვეყანაში რეფორმების განხორციელების, ასევე კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევის პროცესში. ირაკლი ღარიბაშვილმა საუბრისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აშშ-ის, როგორც ძლიერი სტრატეგიული პარტნიორის შემდგომი მხარდაჭერის მნიშვნელობას, რათა ქვეყანამ უახლოეს პერიოდში მიიღოს ვაქცინის საჭირო რაოდენობა და დაიწყოს მოსახლეობის ვაქცინაცია.

პრემიერ-მინისტრმა და ელჩმა ასევე ისაუბრეს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, მხარეებმა მიმართონ ძალისხმევა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონსტრუქციულ, დიალოგის რეჟიმში წარმართვისთვის.

შეხვედრისას ასევე ყურადღება დაეთმო რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ამერიკელმა დიპლომატმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა, – ნათქვამია მთავრობის ვებგვერდზე.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-აშშ-ის ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხების ფართო სპექტრი.

კალაძის „ოცნებიდან“ წასვლა რამდენიმე დღეში გაფორმდება

დატოვებს თუ არა „ქართულ ოცნებას“ კახა კალაძე? დედაქალაქის არჩეული მერი ბოლო დღეებია „ოცნების“ გუნდისგან ღიად ცდილობს დისტანცირებას, პარალელურად მერიის სამსახურებს უკვე რამდენიმე თვეა ინტენსიურად ამოწმებენ სუს-ის წარმომადგენლები.

მთავარის ინფორმაციით, კალაძისა და მისი გუნდის პოლიტიკური განქორწინება „ქართულ ოცნებასთან“ სულ რამდენიმე დღეში გაფორმდება.

„ოცნებაში“ ამ ვერსიას ისეთივე ენთუზიაზმით უარყოფენ, როგორც ეს გახარიას შემთხვევაში ხდებოდა.

კახი კალაძის კვოტა ერთპარტიულ საკანონმდებლო ორგანოში იმდენად დიდია, რომ კალაძის წასვლამ შესაძლოა უმრავლესობა ავტომატურად დაშალოს.

სალომე ზურაბიშვილი: „განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ საარჩევნო რეფორმას“

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიშით დასტურდება, რომ ჩატარებული არჩევნები იყო კონკურენტული.

„მივესალმები ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიშს, რომელიც ადასტურებს, რომ „არჩევნები იყო კონკურენტული და ფუნდამენტური თავისუფლებები იყო დაცული“. მე განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ საარჩევნო რეფორმას, რათა მასში გათვალისწინებული იყოს უახლესი რეკომენდაციები“ – წერს ზურაბიშვილი ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე.

ცნობისთვის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, საარჩევნო რეფორმის ახალი პაკეტი ეუთო/ოდირს შეფასებისთვის გუშინ, 9 მარტს, გადაეგზავნა.

ნათია თურნავას მოადგილედ გურამ გურამიშვილი დაინიშნა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების ყოფილი დირექტორი გურამ გურამიშვილი დაინიშნა.

„გურამ გურამიშვილს საქართველოს სატრანსპორტო სფეროში საქმიანობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ის 1995-2021 წლებში საქმიანობდა სს „საქართველოს რკინიგზაში“ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე“ – ვკითხულობთ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მინისტრის მოადგილეს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი.

მას მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეფერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქვეყანას პრემიერ-მინისტრი არ ჰყავს, ყველაფერი ბერას მამაა“

გურამ ჩალაგაშვილი: „შარლ მიშელის წარმომადგენელი ჩამოდის სასწრაფოდ საქართველოში. ეს რას ნიშნავს, იცის „ოცნებამ“?!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს
გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, გუშინ ოპოზიციური პარტიების შეკრება მოხდა ლეიბორისტული პარტიის ოფისის ფორმატით. გამოვიდა ინფორმაციები, რომ ცხარე კამათი გქონდათ, რომ კონკრეტულ პოზიციაზე ვერ შეთანხმდით. აზრი ორად გაიყოო. რა ხდება, იწყებთ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას თუ არა?

– რაც შეეხება ოპოზიციის შეკრებას, მე თავად ვესწრებოდი ამ შეხვედრას, არანაირი განხეთქილება, არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის არის, როგორ შეიძლება, რომ ყველას ერთი და იგივე აზრი ჰქონდეს?! მაგრამ ხმათა უმრავლესობით ვღებულობთ ხოლმე გადაწყვეტილებებს და, შესაბამისად, მერე ყველანი ვემორჩილებით ამ გადაწყვეტილებას. ასე რომ, არანაირი განხეთქილება იქ არ ყოფილა. საბოლოო ჯამში, შევთანხმდით ერთ ძალიან მარტივ რამეზე.

– რაზე?

– ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ, რაც ჩვენ ვნახეთ, ტელეეთერით რაც გავიდა, თუ როგორი სადისტების ხელშია ეს ქვეყანა და როგორი სადისტიც არის პრემიერ-მინისტრი. ის, რომ აქ არაფერი საეჭვო არ არის, ამას თავად ხელისუფლება ადასტურებს. მართალია წინა ხელისუფლებამ ჩაიწერა, მაგრამ არ ვაპირებთ ამის გამოძიებასო. პატარა ბავშვი არავინ არ არის. თავადაც კარგად იციან თუ ვინ არის ბერა ივანიშვილი და რა დავალებებს აძლევდა და აძლევს პრემიერ-მინისტრებს. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, ამ ადამიანებს სახელად ჰქვიათ, თორემ არც ერთი არ არის არც პრემიერი და არც მინისტრი. ამ ქვეყანაში, ყველა და ყველაფერი არის ბატონი ბერას მამა.

– ნაციონალების დროინდელი ჩანაწერებია და მერე ფაბრიკაციით აწყობილიო. ასეთ განმარტებებს აკეთებს ხელისუფლება.

– კი, ბატონო, ასეთ განმარტებებს აკეთებს ხელისუფლება და თან ამავე დროს ამბობს, კი, ეს წინა ხელისულების დანაშაულია, მაგრამ ამ დანაშაულზე საქმეს არ აღვძრავ. რატომ? გამოიძიონ, ვინ იყო დამნაშავე და ვინ გააკეთა ეს.

თავადაც კარგად იციან, ეს არ არის არც 2010 და არც 2011 წლის, ეს არის დაახლოებით 2-3 წლის ჩანაწერები. არც ყალბია და არც ფაბრიკაცია. მათ ჩვენზე კარგად იციან, ბერა ივანიშვილი ვინ არის და რას წარმოადგენს, ან რა დავალებებს გასცემს. ისიც კარგად იციან, რა დავალებებს იძლევა. ვერც ერთი პრემიერ-მინისტრი ვერ გაუბედავდა შეწინააღმდეგებოდა მას. ყველაფერს შეუსრულებდნენ. არ მინდა დეტალებში ჩავიდე, მაგრამ ძალიან მარტივი თემაა.

– ისევ შიდა დაპირისპირებას შეეწირა „ოცნება“, საკუთარმა გუნდის წევრებმა ამოუყარეს ეს ჩანაწერებიო. ზოგი გახარიას აბრალებს ამ ჩანაწერების ამოყრას, ზოგიც ხოჯევანიშვილს...

– ხოჯევანიშვილიც გახარიას კლანია... ვინც დეტალებშია ჩახედული, იცის, რომ ეს ჩანაწერი დაახლოებით სამი წლის წინანდელია.

– ლაშა ნაცვლიშვილის გვარიც დასახელდა, თანაც საეჭვოდ დაემთხვა მისი წასვლაც.

– ნაცვლიშვილი, ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი, ნებისმიერ სიბინძურეს და ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოაწერს ხელს.

– ანუ შიგნით აქვთ ისეთი დაპირისპირება, რომ ერთმანეთს ასეთი კომპრომატებით ეომებიან?

– გადავხედოთ ჩვენ წარსულს, უახლოეს 30 წელს. გამსახურდიას ხელისუფლება წავიდა, შევარდნაძის და საკაშვილის, საიდან მოხდა რღვევა? ყველა ხელისუფლების დროს, რღვევა მოხდა შიგნიდან. შიგნიდან გატყდა ციხე ყველა ხელისუფლების დროს.

– კახი კალაძე დუმს საეჭვოდ და საუბარია, რომ შესაძლოა ისიც წავიდესო, ვასილ მაღლაფერიძის მსგავსად. ამაზე რას ფიქრობთ?

– შიგნით რა დინებები და რა ბრძოლები მიდის, ეს ნაკლებად საინტერესოა. შეუძლებელია, რომ მიცვალებულს ექიმის დახმარებამ უშველოს. ყველაზე დიდი მესიჯი, რაც გუშინ გავიგეთ და ყველაზე დიდი მინიშნება იმისა, რომ „ქართული ოცნება“ დასრულებულია და „ქართულ ოცნებას“ არაფრის უნარი აღარა აქვს, არის შემდეგი: ყველამ იცით, რომ 16 მარტამდე დიდი დრო აღარ დარჩა, 16 მარტს უნდა ჩავიდეს პრემიერი შარლ მიშელთან და უნდა თქვას, თუ რა დათმობაზე მოდის იმ 6 პუნქტიდან, თუმცა ამ ჩანაწერების გასვლის შემდეგ, უცებ შეიცვალა სიტუაცია და დაიდო ინფორმაცია, რომ შარლ მიშელის წარმომადგენელი ჩამოდის სასწრაფოდ საქართველოში. ეს რას ნიშნავს, იცის „ოცნებამ“?!

– რას ნიშნავს, ისევ შეიცვალა სიტუაცია? ახალი მითითებებია საჭირო?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ევროპა ნამდვილად არ ელოდება სწორ ნაბიჯებს ხელისუფლებისაგან, კარგს და გონივრულს არაფერს ელოდებიან. ეს ადამიანი ეტყვის პრემიერს, რომ თუ ჩვენთან ისეთი პასუხით არ ჩამოხვალთ, რაზეც შევთანხმდით, მაშინ სხვანაირად წავა საქმე და ეს დასასრული ძალიან მძიმე იქნება ქვეყნისთვის. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ სანქციებს არ მიიღებენ ქვეყნის წინააღმდეგ და ეს იქნება პერსონალური. დიდი იმედი მაქვს, რომ შეეხება კონკრეტულ პირებს, ღარიბაშვილს, ივანიშვილს, მის ბერას და ასე შემდეგ.

– ოპოზიციამ რა გადაწყვიტა? მზად არის მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს?

– ჩვენ შევთავაზეთ ხელისუფლებას, კარგი იქნება თუ შეხვედრაზე, ღარიბაშვილის ნაცვლად მოვა სხვა ადამიანი, უპრიანი იქნებოდა თუ ეს იქნებოდა პარლამენტის თავმჯდომარე, თალაკვაძე. გადაწყვეტილებას მაინც ივანიშვილი იღებს და ამიტომ მათთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვის დასვამენ მოლაპარაკების მაგიდასთან?! ღარიბაშვილი ამ სიტუაციაში მიუღებელი ფიგურაა. მას მორალურადაც არა აქვს იმის უფლება, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს და საზოგადოებაში გამოჩნდეს. უპირველესი მოთხოვნაა, რომ ნიკა მელიას და გიორგი რურუას გათავისუფლება მოხდეს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მოიქცევა მაინც იმგვარად, როგორც თავად აწყობთ და ღარიბაშვილი ჩაერთვება ამ პროცესში, ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვაპირებთ მაგიდის აყირავებას და მოლაპარაკების ჩაშლას. უბრალოდ ვთავაზობთ, უკეთესი იქნება, რომ შეცვალონ. მოლაპარაკებები შედგება ისეთ ფორმატში, როგორშიც დაგეგმილია. არანაირ ჩაშლას ოპოზიცია არ აპირებს, პირიქით, ვართ ამ მოლაპარაკების მოლოდინში და იმის, თუ როდის მოვა 16 რიცხვი.

– ამ ჩანაწერის გავრცელებამ ძალიან დააზარალა „ოცნების“ იმიჯი დასავლეთის თვალში?

– კი, ნამდვილად ასეა. ველოდებით, რომ საკმაოდ დიდი აგრესია წამოვა.

– რა გამოსავალი დარჩა ხელისუფლებას?

– გამოსავალი არის ერთი. სასწრაფოდ გაათავისუფლონ ნიკა მელია და ასევე 8 მარტის შეთანხმებით, დანარჩენი პოლიტპატიმრები. უნდა შეწყდეს ე.წ. პოლიტიკური საქმეები. უნდა ჩაინიშნოს ხელახალი არჩევნები, ახალი წესებით, ახალი საარჩევნო ადმინისტრაციით. ეს არის ის უმთავრესი მოთხოვნები, რაც აქვს ოპოზიციას.

შარლ მიშელის წარმომადგენელი ქართულ მოლაპარაკებებში კრისტიან დანიელსონი იქნება

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან, ჟოზეფ ბორელთან შეთანხმებით, კრისტიან დანიელსონი საქართველოში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური დიალოგის მედიატორად დანიშნა.

დანიელსონი მედიაციას გაუწევს საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის განახლებულ დიალოგს, რომელიც ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარების განმუხტვას ემსახურება და ამ მიზნით ის საქართველოში ევროკავშირის ელჩთან კარლ ჰარცელთან მჭიდროდ ითანამშრომლებს.

„უახლოეს დღეებში ბ-ნი დანიელსონი საქართველოში გაემგზავრება, რათა ყველა მონაწილე მხარე აქტიურად ჩართოს პროცესში.

პრეზიდენტი მიშელი და უმაღლესი წარმომადგენელი ბორელი მოუწოდებენ ყველა პოლიტიკურ აქტორს, რომ სრულყოფილად, კონსტრუქციული სულისკვეთებით შესრულდეს დიალოგი ორმხრივი შედეგების მისაღწევად, სტაბილური, დემოკრატიული და რეფორმაზე ორიენტირებული საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, რათა შეძლოს ქვეყანამ წარმატებით სვლა მის პროევროპულ გზაზე“ – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვრცელდება.

კრისტიან დანიელსონი მუდმივი წარმომადგენელი იყო შვედეთში, ვიდრე ის ევროკომისიის გენერალური მდივნის მოადგილე გახდებოდა 2011 წელს. 2013 წელს იგი გენერალური დირექტორი გახდა გაფართოების საკითხებში და 2015 წელს გენერალურ დირექტორად დაინიშნა სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებებში. ის ამჟამად შვედეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია.

„ღარიბაშვილის გადაყენება „ოცნებას“ არ უშველის“

რამაზ საყვარელიძე: „ოცნებისა“ და ოპოზიციის მოლაპარაკებები მშვიდად არ დასრულდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე
„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში
ქვეყანაში განვითარებულ
პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, გავრცელებულმა ფარულმა ჩანაწერმა პოლიტიკური პროცესების ესკალაციას შეიძლება ხელი შეუწყოს? რამდენად რეალურია მოლაპარაკებების ჩაშლის საფრთხე?

– როგორც ჩანს, მოლაპარაკებების ჩაშლა იყო ამ ჩანაწერების გავრცელების მიზანი. როგორც კი ჩანაწერი გამოქვეყნდა, ოპოზიციას ერთადერთი მკაფიო მოთხოვნა ჰქონდა, პრემიერი ღარიბაშვილი გადადგეს. მე მაინც ვთვლი, რომ ეს მოლაპარაკებები მშვიდად არ დასრულდება.

– რატომ, შეთანხმება ვერ მიიღწევა?

– ამ ნაბიჯებს, რასაც ახლა ვხედავთ და ვითარდება, არ მივყავართ მოლაპარაკებების მშვიდობიან, მომრიგებლურ ფინალამდე. თუკი ერთადერთი მოთხოვნა ღარიბაშვილის გადადგომაა, მაშინ ეს ოპოზიციისთვის მხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტია იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც მას აქვს.

– ცოტა ხნის წინ პრემიერი გახარია გადადგა, მაგრამ ამით ხომ არაფერი შეცვლილა ოპოზიციისთვის, არაფერი მისცემია ოპოზიციას?

– აბსოლუტურად ლოგიკურია ეს კითხვა. დიახ, არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ ერთი პრემიერი გადადგა, მეორე პრემიერი გადადგა და რატომ?! ეს ყველაფერი ასე თუ ისე უკავშირდება ოპოზიციას. ერთი სიტყვით, მისი მოთხოვნით ხდება პრემიერების გადადგომა, რაც, დამერწმუნეთ, არ არის პოლიტიკურად მარტივი ამბავი. თან აქ, ერთი გარემოებაც არის საყურადღებო, ამ გადადგომების თუ წასვლის შედეგად ოპოზიცია კი არ მშვიდდება და სამუშაო გარემოს კი არ უბრუნდება, პირიქით, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და ისევ ითხოვს იგივეს, რაზეც ხელისუფლებას ნათქვამი აქვს, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მიზანი სრულიად გასაგებია და ამ გზაზე არ არსებობს სხვა პუნქტი, რომელიც მათ ინტერესებს დააკმაყოფილებს. ეს იცით როგორ არის, როდესაც ადამიანს ჩხუბი უნდა, მაშინ ის ამისთვის მიზეზს ყოველთვის მოძებნის. ოპოზიცია ცდილობს, რაც შეიძლება აგრესიული იყოს. აგრესიულობის ფონზე ხომ სრულიად გამორიცხულია შეთანხმების მიღწევა.

– გამორიცხავთ, თავად „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს გადაწყვეტილება ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ და ღარიბაშვილი წავიდეს?

– თუკი ხელისუფლების შიდა პროცესებმა, შიდა პოლიტიკამ მოიტანა და ამ დასკვნამდე მივიდნენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ არ ვუშვებ, რომ ღარიბაშვილი ოპოზიციის მოთხოვნით გადააყენოს „ქართულმა ოცნებამ“. თუ ასე მოხდა, მაშინ ეს იქნება ამ ფარული ჩანაწერების პირდაპირი თუ არა ირიბი აღიარება მაინც.

– პროცესების დასამშვიდებლად, ესკალაციის მოსახსნელად?

– სრულიად ცალსახაა რომ პროცესების დამშვიდება და ესკალაციის მოხსნა არ არის ოპოზიციის მიზანი. ამიტომ, ერთის გადაყენებას თუ წასვლას შეიძლება უკვე მეორეც მოჰყვეს. ახლა თუ ღარიბაშვილის გადაყენებას ითხოვენ, მერე წულუკიანის გადაყენებას მოითხოვენ უკვე დეპუტატობიდან. ამიტომ, არ მგონია, რომ პოლიტტექნოლოგიურად სწორი გადაწყვეტილება იყოს ღარიბაშვილის გაშვება.

– პროკურატურამ გამოძიება უკვე დაიწყო. თუმცა, ჩანაწერის მოპოვება-გავრცელების მიმართულებით და არა შინაარსზე. რამდენად სწორი მიმართულებით მიდის პროკურატურა? ამ ნაბიჯით ხომ არ აძლევს კრიტიკოსებს საფუძველს თქვან, ის არ არის ნეიტრალური და დამოუკიდებელი?

– შინაარსზე რომ დაიწყოს გამოძიება, მანამდე ხომ უნდა გაირკვეს, ავთენტურია თუ არა ჩანაწერი, რამდენად რეალურია ეს ჩანაწერი, ეს უნდა დადგინდეს პირველ რიგში. მერე შინაარსზეც იქნება, ცხადია, საუბარი.

– მალე ბრიუსელში შეხვედრა უნდა გაიმართოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მზად ჩავა ამ შეხვედრაზე ერთი მხრივ ხელისუფლება და მეორე მხრივ, ოპოზიცია? შეიძლება იქ გადაწყდეს?

– არა, არა მგონია, რომ ბრიუსელში იყოს გამოსავალი. გააჩნია, რა მოტივი თამაშობს მთავარ როლს. ევროკავშირში პირველი ჩინის მქონე ადამიანი იყო ჩასული, მაგრამ ამან პროცესების განმუხტვას არ შეუწყო ხელი, პირიქით, კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება. ცალსახაა, რომ ხელოვნურად ხდება სიტუაციის გამწვავება. ძალიან რთული პროცესების წინაშე ვდგავართ, როგორც სახელმწიფო, რადგან ეს ძალიან საშიშია. პროცესი მართლაც ჩიხშია შესული. ყველაფერი კეთდება ვითარების კიდევ უფრო გასამწვავებლად, რომ მერე ეს დაბრალდეს ხელისუფლებას. ალბათ, ანალოგიურად უნდა ხელისუფლებასაც, რომ ეს გამწვავება ოპოზიციას დაბრალდეს. ახლა სახელმწიფოებრივი აზროვნებაა მთავარი, რომ მტრის წისქვილზე არ დავასხათ წყალი და რუსეთის საქმე არ გაკეთდეს.

„ოცნებაც“ და ოპოზიციაც რუსულ თამაშში მონაწილეობენ“

მამუკა გიორგაძე: „კინკლაობა მიდის ნიკა მელიაზე. ჯერ იმაზე დაობდნენ, უნდა დაეკავებინათ თუ არა. მისი დაკავება ზოგისთვის კანონის აღსრულებაა, ზოგისთვის – პოლიტიკური დევნა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყნის პოლიტიკაში შექმნილ ქაოსურ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

– ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდით პოლიტიკური კრიზისის მოგვარების გზებზე. ამაში მედიატორობა იკისრა ევროკავშირმა. ახლა ევროკავშირის მედიატორობა გრძელდება, ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია (განსაკუთრებით, ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ) გასცდა პოლიტიკური კრიზისის ფარგლებს და უფრო პოლარიზებული გახდა. თქვენ როგორ დაახასიათებდით ამ მდგომარეობას?

– რასაც ჩვენ ტრადიციულად ვეძახით პოლიტიკურ კრიზისს, სინამდვილეში სხვა რამეა. პოლიტიკური კრიზისი იქნებოდა, ჩვენ, პოლიტიკურ სპექტრს რომ გვეკამათა საქვეყნო საკითხებზე. მაგალითად, აფხაზეთის დე ფაქტო დაბრუნებაზე, დავითგარეჯის საკითხის გადაწყვეტაზე, ეკონომიკის გადარჩენაზე, პანდემიისგან თავის დაღწევაზე. საქართველოში არაფერი ამდაგვარი არ ხდება. წინა წლებშიც ასე იყო. ჩვენთან დროდადრო თამაშდება გარკვეული სცენები, რომლებსაც უწოდებენ პოლიტიკურ კრიზისს. ეს იცვლის ფორმებს და ყოველთვის არის პერსონიფიცირებული.

– დააზუსტეთ?

– მაგალითად, კინკლაობა მიდის ნიკა მელიაზე. ჯერ იმაზე დაობდნენ, უნდა დაეკავებინათ თუ არა. მისი დაკავება ზოგისთვის კანონის აღსრულებაა, ზოგისთვის – პოლიტიკური დევნა. ასევეა მელაშვილისა და ილიჩოვას შემთხვევაში. ეს ხალხი, ე. წ. კარტოგრაფები ერთი ჯგუფისთვის გმირები არიან, მეორე ჯგუფისთვის – მოღალატეები. „კრიზისი“ იცვლის ფორმებს.

– ახლანდელი კრიზისი ჩვეულ ფორმას ხომ არ გასცდა? დღეს უკვე ვიხილავთ იმას, თუ ვინ დატოვებს კიდევ ხელისუფლებას და „ქართულ ოცნებას“.

– ესეც მიმდინარე სპექტაკლის დრამატიზებისთვისაა საჭირო. ამაში არაფერია ახალი და განსაკუთრებული. როცა მთავარი როლის შემსრულებელი მიდის, ჩნდებიან დუბლიორები, შემცვლელები, იბადება ახალი დრამატული შტრიხები. მათ შორის კონკურენციაცაა.

– მთავარი როლის შემსრულებელი – ივანიშვილი წავიდა და ხდება მოვლენების მეტი დრამატიზება?

– რასაკვირველია. გამსახურდიას დაუპირისპირდა ხალხი მისივე „მრგვალი მაგიდიდან“. შევარდნაძეს დაეჯახა ჯგუფი მისივე „მოქალაქეთა კავშირიდან“. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარე. მოგვიანებით, სააკაშვილის ოპოზიციაში ვიხილეთ მისი ყოფილი პარტნიორები და დამფინანსებლები. სააკაშვილს გვერდით ედგა და აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი. ეს საბჭოთა სისტემაა, რომელიც საქართველოში წლითიწლობით მეორდება. ყველა, ვინც ხელისუფლებაში მოდის, იყენებს მიმზიდველ ფრაზეოლოგიას დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, კორუფციასთან ბრძოლის, ევროატლანტიზმის თემებზე.

– შედეგად რას ვიღებთ?

– შედეგად ვიღებთ ძველ პარტიულ ნომენკლატურას. შევარდნაძეს დაუპირისპირდნენ სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე. ორ უკანასკნელს სააკაშვილმა აჯობა, თუმცა იმათაც თავისი მფარველები ჰყავდათ რუსეთში. პოლიტიკაში ახლაც აქტიურობს ნომენკლატურა. ძირითადად, ჩემი ასაკის პოლიტიკოსები ან ცოტა უმცროსები. მთავარი ისაა, რომ ყველა სპექტაკლის და ნომენკლატურის უკან დგას რუსეთი.

– საქართველოში ხელისუფლებები იცვლებიან რუსეთის სქემებით?

– დიახ. შევარდნაძე მოიყვანა რუსეთმა. ის ასრულებდა თავის ფუნქციას. მოვიდა დრო, როცა შევარდნაძემ რაღაც ვერ შეასრულა, თავი ამოწურა. კრემლმა ის შეცვალა სააკაშვილით. სააკაშვილი ხელისუფლებაში პირნათლად ასრულებდა რუსეთის დავალებებს, მაგრამ რაღაც ვეღარ შეძლო, იმანაც თავი ამოწურა, ხალხის ნდობა დაკარგა. სააკაშვილის ხელისუფლება, ფაქტობრივად შიგნიდან ამოაყირავეს. მას დაუპირისპირეს ივანიშვილი, რომელიც მას აფინანსებდა და ისეთი პარტიები, რომლებიც წინათ სააკაშვილთან იყვნენ, შემდეგ კი ივანიშვილთან დადგნენ. ყველა ხელისუფლება ყველაზე საშინელ გადაწყვეტილებებს იღებდა მაშინ, როცა მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

– „ქართული ოცნების“ საშინელი გადაწყვეტილება რომელია?

– პირველ რიგში, კოჰაბიტაცია. კოჰაბიტაცია ნიშნავდა რუსული პროექტის გადარჩენას. კოჰაბიტაცია შემოიღეს რუსული პროექტის შენარჩუნებისთვის, რუსული გეგმით, მაგრამ ამას აბრალებდნენ დასავლეთს. სახალხო პარტია ყოველთვის მოვითხოვდით სამართლიანობის დამყარებას. ეს ხალხის დაკვეთაც იყო, მაგრამ კოჰაბიტაციის პირობებში რომელ სამართლიანობას დაამკვიდრებდნენ! ივანიშვილმა გააცოცხლა მკვდარი პარტიები, შეიყვანა ისინი პარლამენტში, მისცა მათ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, ასევე პორტფელები მთავრობაში. ივანიშვილმა კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა ეს ხალხი, მაგრამ ეს ადამიანები დააწინაურა. სხვანაირად ვერ მოქცეოდა – ასეთი იყო რუსეთის დავალება. საშინელი გადაწყვეტილება იყო საყდრისის აფეთქება. ეს სააკაშვილმა ვერ მოახერხა. მან ძეგლის სტატუსი მოუხსნა საყდრისს, ივანიშვილმა კი ააფეთქა. ხალხმა ეს ჩაყლაპა.

– რატომ?

– ხალხი არ აპროტესტებს „ქართული ოცნების“ დანაშაულებს იმის გამო, რომ ქუჩაში გამოსულს არ უნდა, აღმოჩნდეს ნაციონალური მოძრაობის გვერდით. ნაციონალური მოძრაობა ბევრისთვის მიუღებელია. საერთოდ, ბევრი რამ გახდა საზოგადოებისთვის მიუღებელი. ამიტომ გარბის მოსახლეობა საზღვარგარეთ. მარტო გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის რამდენი მიდის! ამდენ ხალხს რომ ხელისუფლებისგან მოეთხოვა დასაქმება, რაღაცას მიაღწევდა.

– თქვენი ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი ამზადებს ახალ ცვლილებას საქართველოს ხელისუფლებაში? ირაკლი ღარიბაშვილს, ალბათ, ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, ამაში როლი არ ექნება?

– ამას ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ. როგორ დასრულდება ეს რუსული პოლიტიკური სპექტაკლი, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თეატრის სცენაზეც კი გამოცდილი მსახიობები ზოგჯერ იმპროვიზაციას მიმართავენ.

– იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ რუსეთის ფავორიტები „ქართული ოცნების“ წიაღიდან არიან?

– გამოცდილება გვკარნახობს, რომ ახალი ხელისუფლები გამოდიან წინა ხელისუფლების წიაღიდან. ეს ხალხი ან არის ხელისუფლებაში, ან იყო „ქართულ ოცნებასთან“.

– ამჟამად ქართული პოლიტიკური სპექტრი, მეტ-ნაკლებად, ევროკავშირის კონტროლს ექვემდებარება. ეს ორგანიზაცია უკვე მედიატორია კრიზისის დაძლევის პროცესში.

– დიახ. რუსულ სპექტაკლებში ჩართული პოლიტიკური სპექტრის შემაკავებელია ორი რამ – საერთაშორისო თანამეგობრობა და ქართველი ხალხი. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა პირდაპირ უთხრა ამ პოლიტიკოსებს, დაანებეთ კინკლაობას თავი, სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას თქვენი ქვეყანა და ამას მიხედეთო. ჩვენ რომ დასავლური ქვეყანა ვიყოთ, ამას ისედაც მივხვდებოდით. ეს ტონი მიანიშნებს, რომ პროდასავლურ გზას არ ვადგავართ, ნამდვილი დემოკრატია არ გვაქვს. საუბედუროდ, ერთმანეთზე გადაკიდებული მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც რუსულ თამაშში მონაწილეობენ. ახლა რომ უკვირთ, ერთპარტიულია პარლამენტიო. რა, სააკაშვილის დროს არ იყო ერთპარტიული პარლამენტი?! ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“ ერთია. მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართველი ხალხის აქტიურობით შეიძლება ამ მდგომარეობიდან გამოსვლა.

სახელმწიფო ვალი 31.6 მლრდ ლარამდე გაიზარდა

რომელი ქვეყნების ვალი აქვს საქართველოს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობამ 31.57 მილიარდი ლარი შეადგინა. მხოლოდ იანვარში ვალის ზრდამ 735 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 1.037 მილიარდით გაიზარდა საგარეო ვალის ნაშთი, ხოლო საშინაო ვალის ნაშთი 302 მილიონი ლარით შემცირდა. არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60%-ს აღემატება.

სახელმწიფო ვალიდან 25.7 მილიარდი ლარი საგარეო ვალს წარმოადგენს, 5.84 მილიარდი ლარი კი საშინაო ვალია, რომელსაც მთავრობა სახაზინო ობლიგაციების და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით იღებს. 2021 წლის ბიუჯეტის თანახმად, წელს მთავრობა 5.27 მილიარდის ახალ სესხებს იღებს. აქედან 1.45 მილიარდი ლარი საინვესტიციო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიიმართება, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები 2.17 მილიარდი ლარი იქნება, ხოლო 1.65 მილიარდი ლარით მთავრობა $500-მილიონიანი ევრობონდების რეფინანსირებას გეგმავს.

სახელმწიფო ვალი 31.57 მილიარდი ლარია, რომელი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ვალი აქვს ქვეყანას:

1) მსოფლიო ბანკის ჯგუფი (IDA და IBRD) – 6.79 მლრდ ლარი;
2) აზიის განვითარების ბანკი (ADB) – 5.70 მლრდ ლარი;
3) ევროპის საინვესტიციო ბანკი – 2.41 მლრდ ლარი;
4) გერმანია (KFW) – 2.39 მლრდ ლარი;
5) საფრანგეთი (AFD) – 1.89 მლრდ ლარი;
6) ევროობლიგაცია – 1.65 მლრდ ლარი;
7) ეროვნული ბანკის ვალი IMF-ის მიმართ – 1.23 მლრდ ლარი;
8) იაპონია – 703 მლნ ლარი;
9) მთავრობის ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ – 699 მლნ ლარი;
10) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) – 643 მლნ ლარი;
11) აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) – 553 მლნ ლარი;
12) ევროგაერთიანება (EU) – 532 მლნ ლარი;
13) რუსეთი – 134 მლნ ლარი;
14) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) – 118 მლნ ლარი;
15) ავსტრია – 63 მლნ ლარი;
16) აშშ – 51 მლნ ლარი;
17) თურქეთი – 35 მლნ ლარი;
18) კუვეიტი – 30 მლნ ლარი;
19) ყაზახეთი – 29 მლნ ლარი;
20) აზერბაიჯანი – 18.1 მლნ ლარი;
21) სომხეთი – 18.1 მლნ ლარი;
22) ირანი – 13.6 მლნ ლარი;
23) ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) – 10.8 მლნ ლარი;
24) სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO) – 8.4 მლნ ლარი;
25) ჩინეთი – 3.1 მლნ ლარი;
26) ნიდერლანდები – 1.3 მლნ ლარი;
27) თურქმენეთი – 0.7 მლნ ლარი;
28) უზბეკეთი – 0.2 მლნ ლარი;
29) უკრაინა – 0.2 მლნ ლარი.

შიდა ვალი

1) სახაზინო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ობლიგაციები; სახაზინო ვალდებულებები) – 5.5 მილიარდი ლარი;
2) სხვა ფასიანი ქაღალდები – 352.8 მლნ ლარი;
3) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი – 31 მლნ ლარი.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო S&P Global-ი წელს საქართველოს სახელმწიფო ვალის რეკორდულ ზრდას პროგნოზირებს. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2021 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ვალი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 69.5%-ს მიაღწევს, რაც ამჟამად არსებული 63.6%-დან 5.9 პროცენტული პუნქტით მატებას წარმოადგენს. ამ ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებად S&P Global-ი უშუალოდ ახალი საგარეო ვალის აღებას და ეროვნული ვალუტის შესაძლო გაუფასურებას ასახელებს, რის გამოც, ლარებში გამოხატული საგარეო ვალის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს.

ჯოზეფ ბორელი: „მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ აქტორს, უერთგულონ კონსტრუქციულ დიალოგს“

გუშინ, 9 მარტს, ევროპარლამენტის სხდომაზე, რომელზეც საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისზე დებატები გაიმართა, ევროკავშირის წამყვანი დიპლომატი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი სიტყით გამოვიდა.

მისი თქმით, სამწუხაროდ, ბოლო თვეების განმავლობაში, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის ზრდის გამო, პოლიტიკური ვითარება შეშფოთების საფუძველი გახდა.

ეს ვითარება ქართული დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველ რისკებს ქმნის. ბორელი მიიჩნევს, რომ სიტუაციის დეესკალაციისა და საერთო ნიადაგის მოსაძებნად ყველა მხარემ უნდა იმოქმედოს.

– მოუთმენლად ველით საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის გაგრძელებას. ყურადღებით დავაკვირდებით ამ პროცესს. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ამ პროცესსაც მედიაციას გაუწევს. კომპრომისული შეთანხმების მიღწევის მიზნით ნაბიჯი ყველა მხარემ უნდა გადადგას და მათ პროვოკაციული ქმედებებისა და რიტორიკისგან თავი უნდა შეიკავონ, – განაცხადა ბორელმა.

მან ხაზი გაუსვა 16 მარტს, ასოცირების საბჭოზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის მნიშვნელობას – „გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ პროგრესს ნამდვილად ვიხილავთ“. მისივე თქმით, პოლიტიკურ კრიზისში დიდხანს ვერც ერთი ქვეყანა გაძლებს.

– პოლიტიკური აქტორების ვალია ქართველი ხალხის წინაშე, რომ შესთავაზონ მათ სტაბილური პოლიტიკური კონტექსტი. პრეზიდენტ მიშელთან ერთად, მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ აქტორს საქართველოში, უერთგულონ კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართულ დიალოგს, ყველა მხარისთვის მისაღები შედეგის მისაღწევად, – განაცხადა ბორელმა.

არჩილ თალაკვაძე: „ღარიბაშვილს პოლიტიკურ მხარდაჭერას ვუდასტურებ“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა.

აღნიშნული განცხადება თალაკვაძემ ბიუროს სხდომაზე გააკეთა.

– ამ მნიშვნელოვან პერიოდში, როდესაც ქვეყანა ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიც არის ვაქცინაციის დაწყება, პოლიტიკური დიალოგი, ეკონომიკის აღდგენა – ჩემი მხრიდან, მინდა, პოლიტიკური მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დავუდასტურო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, – თქვა არჩილ თალაკვაძემ.

არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილსა და ვახტანგ ჩიქოვანს გიორგი შაქარაშვილის მკვლელობისთვის 16-16 წელი მიესაჯათ

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ 3 პირს – არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილსა და ვახტანგ ჩიქოვანს, 16-16-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, 2 არასრულწლოვნის – ზ.ხ.-სა და ა.ქ.-ს საქმეზე კი განაჩენი 16 მარტს გამოცხადდება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინა სტურუამ გუშინ, 9 მარტს, გამოაცხადა.

მცხეთის რაიონული სასამართლო გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეს 8 თვის განმავლობაში განიხილავდა. აღნიშნულ საქმეზე დაკითხულია 100-მდე მოწმე და გამოკვლეულია როგორც ექსპერტიზის დასკვნები, ასევე ნივთიერი, წერილობითი მტკიცებულებები.

დაკავებული 5 პირიდან ბრალს არც ერთი აღიარებს.

ფეხბურთელი გიორგი შაქარაშვილის ცხედარი 2020 წლის 22 ივნისს, მდინარე არაგვში იპოვეს. აღნიშნულს წინ უსწრებდა მცხეთაში მდებარე აგარაკზე, დაბადების დღის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე მყოფ სტუმრებს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც სცემეს და ჯანმრთელობის დაზიანებები მიაყენეს მსჯავრდებულ ვახტანგ ჩიქოვანს.

მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების გამო, დაბადების დღე სხვებთან ერთად გიორგი შაქარაშვილმაც დატოვა და თბილისის მიმართულებით გაემართა. შაქარაშვილსა და მის თანმხლებ პირებს ჯერ თბილისიდან წამოსული მერსედესის მარკის ავტომანქანაში მყოფი პირები დაესხნენ თავს, შემდეგ კი – ტოიოტაში მყოფები.

პროკურატურის ინფორმაციით, შაქარაშვილსა და მასთან ერთად მყოფებს თავს დაესხნენ ვახტანგ ჩიქოვანი, ვასილ მახარაძე, ა.ქ. და ზ.ხ., არჩილ გაგნიძე და ნიკოლოზ რევაზიშვილი, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ და ცდილობდნენ მათზე ძალადობას. საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, გიორგი შაქარაშვილი და დანარჩენები, გაიქცნენ. გურამ ამირხანაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი და გიორგი ქათამაძე დაიმალნენ მდინარე არაგვის მიმდებარედ, ბუჩქნარში. ხოლო გიორგი შაქარაშვილი გაიქცა მდინარე არაგვის მიმართულებით.

გამოძიების ინფორმაციით, გიორგი შაქარაშვილს და ვახტანგ ახვლედიანს იმავე მიმართულებით გაეკიდნენ ვახტანგ ჩიქოვანი, ა. ქ. და ზ.ხ., ხოლო არჩილ გაგნიძემ და ნიკოლოზ რევაზიშვილმა, რომლებიც იმყოფებოდნენ აღმოსავლეთის მიმართულების საავტომობილო გზის მხარეს, განაგრძეს სირბილი გზის მარცხენა მხარეს არსებულ მეორეხარისხოვან გზაზე იმ მიზნით, რომ პირისპირ დახვედროდნენ იმავე გზაზე საპირისპირო მხრიდან გამოქცეულ პირებს და გზა გადაეღობათ მათთვის.



ვახტანგ ახვლედიანი მეორეხარისხოვან გზაზე სირბილისას დაიმალა გზის პირად არსებულ ბუჩქებში, გიორგი შაქარაშვილმა კი განაგრძო გადაადგილება. როდესაც გიორგი შაქარაშვილი მიუახლოვდა მეორეხარისხოვანი გზის იმ მონაკვეთს, რომელიც არაგვის ხიდის ბურჯებს შორის გადის, საპირისპირო მიმართულებიდან მას გზა გადაუღობეს არჩილ გაგნიძემ და ნიკოლოზ რევაზიშვილმა.

ასევე, გამოძიების ინფორმაციით, გიორგი შაქარაშვილი ორივე მხრიდან მოექცა თავდამსხმელებს შორის, რამაც მას მოუსპო თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და გარდაუვალი ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით იძულებული გახდა ჩასულიყო გზის მარცხენა მხარეს არსებულ ხევში, სადაც მას ჩაჰყვა ხუთივე თავდამსხმელი.

თავდამსხმელებმა გიორგი შაქარაშვილს მიაყენეს დაზიანებები თავის, ორივე თვალბუდის, ზედა და ქვედა ტუჩების მიდამოებში, მარჯვენა იდაყვის სახსრისა და მარჯვენა წინამხრის მიდამოებში, აგრეთვე მუცლის, საზარდულის, ბოქვენის, წელისა და ორივე დუნდულოს მიდამოებში. სასტიკად ნაცემი გიორგი შაქარაშვილი თავდამსხმელებმა გადააგდეს მდინარე არაგვში, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები განვითარებული იყო რაიმე მკვრივი-ბლაგვი მატრავმირებელი საგნების ზემოქმედებით, როგორიცაა ხელკეტის მსგავსი საგანი, ფეხი, ქვა, მუშტი.

პროკურორი: „სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია უტყუარად გაიზიარა“

– სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია უტყუარად გაიზიარა.

ამის შესახებ შაქარაშვილის საქმის პროკურორმა დავით ყაზარაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომლის მიხედვითაც უკვე მსჯავრდებული 5 პირი გიორგი შაქარაშვილს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდა, ხოლო შემდეგ მოკვლის მიზნით წყალში გადააგდო.

– მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა წარდგენილი მტკიცებულებები და ხუთივე ბრალდებული გიორგი შაქარაშვილის ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. ასევე 3 სრულწლოვანს სასჯელები დაუნიშნა, ხოლო 2 არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის დანიშვნის ფორმა 16 მარტისთვის გადაიდო.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უშუალოდ ბრალდების მხარის ფორმულირება იმ კუთხით, რომ გიორგი შაქარაშვილს, ამ ეტაპისთვის უკვე მსჯავრდებულები ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ, ხოლო შემდეგ მოკვლის მიზნით წყალში გადააგდეს.

იმ მტკიცებულებებით, რომლებიც ჩვენ სასამართლოში წარვადგინეთ, სხვა გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლოთ. სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია უტყუარად გაიზიარა. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, ისინი გადაწყვეტილებით კმაყოფილი არასდროს არ იქნებიან, – განაცხადა საქმის პროკურორმა.

ადვოკატი გოგოლაძე: „მოსამართლე სტურუა უბინძურეს წუმპეშია ამოსვრილი“

ვახტანგ ჩიქოვანის ადვოკატის, ლელა გოგოლაძის განცხადებით, დაცვის მხარე იბრძოლებს როგორც სამართლებრივად, ასევე, შესაძლოა, აქციების გზითაც.

როგორც სასამართლო სხდომის შემდეგ მცხეთის რაიონულ სასამართლოსთან ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, ქვეყანა ჩამოშლილია და სასამართლო სისტემა ჭაობშია.

– ბიძინა სტურუა არის უბინძურეს წუმპეში ამოსვრილი, ნილოსი თუ გარეცხავს, არაგვი და მტკვარი ამ მოსამართლეს ვეღარასდროს გარეცხავს. ეს გადაწყვეტილება იმიტომ იქნა მიღებული, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს სამართალი და ეს ქვეყანა არ არის სამართლებრივად შემდგარი, ჩამოშლილია სახელმწიფო. ჩვენ ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ. სამართლებრივად ხომ ვიბრძოლებთ, შეიძლება გავიდეთ ქუჩაში, ყველა ღონეს მივმართავთ, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება. სასამართლო მოწოდების სიმაღლეზე კი არა, უკანასკნელ საფეხურზე დგას და ჭაობშია, – განაცხადა ადვოკატმა.

ვახტანგ ჩიქოვანის დედის, ნინო გოგილაშვილის თქმით კი, სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

– გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვაპირებთ. არავითარი მტკიცებულება არ აქვთ. 16-წლიანი სასჯელის შემდეგ მშვიდად შეგვიძლია გადაწყვეტილების მიღება? დავმშვიდდებით და მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას, – განაცხადა ვახტანგ ჩიქოვანის დედამ.

პროკურატურამ ბერა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის საუბრების ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო

პროკურატურამ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიება დაიწყო კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან/და მიყურადების, ასევე კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისა და გავრცელების ფაქტებზე.

„საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საჯაროდ გავრცელებული ფარული ჩანაწერების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან/და მიყურადების, ასევე კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისა და გავრცელების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩანაწერის მოპოვების და გავრცელების კანონიერების დასადგენად. გავრცელებული ჩანაწერების ავთენტურობის დადგენის მიზნით, დაინიშნება შესაბამისი ექსპერტიზები. გამოძიების შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას“ – ნათქვამია განცხადებაში.

თემქაზე შეცდომით დაკავებული ვანო ახობაძე გაათავისუფლეს

8 მარტს, თემქაზე პოლიციის მიერ შეცდომით დაკავებული 27 წლის ვანო ახობაძე, პოლიციამ გაათავისუფლა.

როგორც დაკავებულის დედა, სულიკო ჯამასპაშვილი „მთავარს“ უყვება, დაკავებამდე პოლიციამ მის შვილს სცემა. როგორც ირკვევა, ვანო ახობაძე სამართალდამცველებს სხვა პირში აერიათ და შეცდომით დააკავეს.

– საშინლად უცემიათ ბავშვი, მერე იმ გოგოს ხელი ჰკრეს, ლამის კიბეზე წააქციეს ამ თანამშრომლებმა. მაგათ აერიათ ვიღაც სხვაში, ვინც უნდა დაეკავებინათ, უყვიროდნენ, ბათუმელი ხარო. ვანო უყვიროდა, მე არ ვარ ბათუმელი, თავი დამანებეთო. ჩაათრიეს ქვემოთ, ზემოთ სადარბაზოში უცემიათ მანამდე და ისე ჩაიყვანეს.

არავინ არ მეუბნებოდა, რომელმა განყოფილებამ წაიყვანა, ვიყავი თემქის ორივე განყოფილებაში. როცა პოლიციაში დავრეკე და იმ ადგილას გამოვიძახე, მაშინ დამალაპარაკეს ჩემი შვილი და მითხრეს, რომ ვანოს ნახევარ საათში გამოუშვებენო. ამბავი რომ არ ატეხილიყო, დღესაც არ გამოუშვებდნენ, – ამბობს სულიკო ჯამასპაშვილი.

სამმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა ადგილობრივი 27 წლის ვანო ახობაძე ძალის გამოყენებით, სავარაუდოდ, პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

სამივე მათგანს იარაღი ჰქონდა.

პოლიციის მიერ შეცდომით დაკავებულ კაცს ოჯახი რამდენიმე საათი უშედეგოდ ეძებდა. მათ მხოლოდ დღის ბოლო გაიგეს, რომ ახალგაზრდა არა თემქის, არამედ ნუცუბიძის პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ გადაყვანილი.

რამდენიმესაათიანი გამოკითხვის შემდეგ სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ იგი არ იყო ბათუმში მცხოვრები პირი, ვისაც ეძებდნენ.

ზ.შ.-მ ცოლს დაარტყა, რომელსაც 8 თვის ბავშვი ეჭირა ხელში. ბავშვი გარდაიცვალა

რა მოხდა გურჯაანში

გურჯაანში მშობლებს კონფლიქტის დროს 8 თვის ბავშვი შემოაკვდათ.

შემთხვევა 8 მარტს გვიან ღამით მოხდა. ბავშვის გარდაცვალების ფაქტზე მისი მამა დააკავეს.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოჯახში ძალადობის ფაქტზე, 1985 წელს დაბადებული ზ.შ. გურჯაანის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 1996 წელს დაბადებულ მეუღლეს ოჯახური კონფლიქტის დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნული კონფლიქტის დროს ქალს ხელში ჰყავდა შვილი – 2020 წელს დაბადებული ბავშვი, რომელმაც გონება დაკარგა და გარდაიცვალა.

მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.“

მეზობლების განცხადებით, 8 თვის ბავშვს გულთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და მას ოპერაციაც ჩაუტარდა.

დაკავებული მამაკაციც და ქალიც მეორე ქორწინებაში იმყოფებიან და მათ შვილები პირველი ქორწინებიდანაც ჰყავთ.

მამაკაცი ალკოჰოლს ხშირად სვამდა და ცოლს როგორც სიტყვიერ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა.

– ალბათ, ნასვამ მდგომარეობაში იყო. ბავშვს გულთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და ოპერაციაც გაუკეთდა. კაცს პირველი ქორწინებიდანაც ჰყავს შვილები. ის ცოლის განცხადების საფუძველზე დააკავეს, – აღნიშნავს ერთ-ერთი მეზობელი.

გარდა ამისა, კიდევ ერთი მეზობლის ინფორმაციით, მამაკაცმა არა მხოლოდ ცოლს, არამედ ბავშვებსაც სცემა, რომლებიც მის მეუღლეს პირველი ქორწინებიდან ჰყავს.

– ოჯახში ბავშვებს და მეუღლეს სცემა. დალურჯებულები იყვნენ, მე რომ მოვედი. მეზობლები ლაპარაკობდნენ, რომ გოგოს პირველი მეუღლე მივიდა ბავშვების სანახავად და მას არ უშვებდა სახლში. იმ ბიჭს მაინც დაუბრუნოს თავისი შვილები, თვითონ ვერ ზრდის. ქალის განცხადების საფუძველზე დააკავეს. ბიჭი სვამდა. ორივესთვის მეორე ოჯახი იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა მეზობელმა.

შსს-ს მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმებისთვის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის განკუთვნილი ახალი შენობის მშენებლობა დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა. .

დღეიდან სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და საექსპერტო შემოწმება ახალ, თანამედროვე სტანდარტის შენობაში განხორციელდება. სერვისი სრულად არის მორგებული მოქალაქეთა კომფორტულ და სწრაფ მომსახურებაზე.

შენობა დაყოფილია 12 გამტარ პუნქტად და დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის შესაბამის პუნქტებში გადანაწილდნენ. ასევე, ცალკე გამოიყო სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი 2 გამტარი პუნქტი.

აღნიშნული მომსახურების ფარგლებში, აღსანიშნავია, რომ სერვისის მიღების მსურველი ადგილზე, მანქანიდან გადმოუსვლელად მიიღებს დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმების აქტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სერვისების გაუმჯობესების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ევროპარლამენტმა კატალონიის ყოფილ ლიდერ კარლეს პუჩდემონს იმუნიტეტი მოუხსნა

ევროპარლამენტმა კატალონიელი პოლიტიკოსის, კარლეს პუჩდემონისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარი დაუჭირა.

როგორც გუშინ, 9 მარტს, ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე გახდა ცნობილი, გადაწყვეტილებას მხარი 400-მა ევროპარლამენტარმა დაუჭირა, 248 წინააღმდეგი წავიდა, 45-მა კი თავი შეიკავა.

ევროპარლამენტმა იმუნიტეტი კიდევ ორ კატალონიელ პოლიტიკოსს – ანტონი კომინსა და კლარა პონსატისაც მოუხსნა.

კარლეს პუჩდემონს, ანტონი კომინსა და კლარა პონსატის ესპანეთში 2017 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის შესახებ უკანონო რეფერენდუმის ორგანიზებასთან დაკავშირებით აქვთ ბრალდებები წაყენებული. კერძოდ, კარლეს პუჩდემონს რეფერენდუმთან დაკავშირებით ამბოხის წაქეზებასა და სახელმწიფო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ედება ბრალი. ანალოგიური ბრალდებები აქვთ წაყენებული ანტონი კომინსა და კლარა პონსატისაც.

ევროპარლამენტის გადაწყვეტილება ესპანეთის ხელისუფლებას პუჩდემონისა და მისი მოკავშირეების ბელგიიდან ექსტრადირების პროცესის განახლების შესაძლებლობას აძლევს.

ექსტრადირების საკითხზე გადაწყვეტილება ბელგიის სასამართლომ უნდა მიიღოს.

ეკვატორული გვინეა: აფეთქება სამხედრო ბაზაზე

ეკვატორულ გვინეაში მდებარე სამხედრო ბაზაზე აფეთქებების მთელი სერია მოხდა. შედეგად დაიღუპა 20 ადამიანი, ბევრი დაშავდა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის ტეოდორ ნგემოს ცნობით, აფეთქება დინამიტისადმი გაუფრთხილებელმა მოპყრობამ გამოიწვია

სირიის დიქტატორი კორონავირუსით დაავადდა

სირიის დიქტატორი ბაშარ ასადი კორონავირუსით დაავადდა. ამის თაობაზე ასადის კანცელარია იტყობინება.

დაავადდა ასადის მეუღლეც.

ამჟამად ორივე კარანტინშია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქურდებმა სარდაფში გვირაბი გაიყვანეს და 400 კილოგრამი ვერცხლი მოიპარეს

ინდოეთის რაჯასტხანის შტატის ქალაქ ჯაიპურში, ქურდებმა ექვსმეტრიანი გათხარეს სარდაფში, სადაც ვერცხლი ინახებოდა და ასეულობით კილოგრამი ძვირფასი ლითონი გაიტანეს.

400 კილოგრამი ვერცხლი ინახებოდა სახლის სარდაფში, რომელშიც ექიმი სუმიტ სონი ცხოვრობდა. იქამდე მისაღწევად, ბოროტმოქმედებმა მეზობელი შენობა შეისყიდეს, რაშიც ცხრა მილიონი რუპია გადაიხადეს. ამის შემდეგ მათ შეუმჩნევლად გათხარეს გვირაბი, გაიტანეს ძვირფასი ლითონი და ნადავლთან ერთად მიიმალნენ.

გამომძიებელთა აზრით, დამნაშავეებს ვიღაც ეხმარებოდა ექიმ სუმიტ სონის გარემოცვიდან და მათ ინფორმაციას აწვდიდა. პოლიციამ რამდენიმე ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება მოახერხა, ხოლო პიროვნება, რომლის სახელზეც იყო გაფორმებული მიწის ნაკვეთი, უკვე დაპატიმრებულია.

შენობა, რომლიდანაც ბოროტმოქმედებმა გვირაბი გათხარეს, ადრე იუველირ შიხარ აგარვალუს ეკუთვნოდა და სწორედ მისი რჩევით შეიძინა ვერცხლი ექიმმა სუმიტ სონიმ.

პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილ ბარმენს ლატარიაში გაუმართლა

ბრიტანეთის ლესტერშირის საგრაფოს მკვიდრმა ბარმენმა, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო უმუშევარი დარჩა, ლატარიაში 100 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

ბარი, სადაც 40 წლის ჯონი რაიტი მუშაობდა, კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ შემოღებული შეზღუდვების გამო თითქმის მთელი წელი დაკეტილი იყო. მისი დანაზოგი იმისთვისაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ქალიშვილებისთვის ნოუთბუქი შეეძინა, რათა მათ სწავლა დისტანციურად გაეგრძელებინათ.

– მინდოდა, სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა, ამიტომ გავისეირნე ქუჩაში და მეზობლად მდებარე მაღაზიაშიც შევიარე საღეჭი რეზინისა და გაზიანი სასმელის შესაძენად, – ყვება რაიტი. მაღაზიაში მას ხურდაში სამი ფუნტი დაუბრუნეს, რომლითაც ლატარიის ბილეთი შეიძინა.

სახლში მიმავალმა მამაკაცმა გზაში ლატარიის ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 100 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

– მუხლების ტკივილი მაწუხებს იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში ბევრს ვთამაშობდი ფეხბურთს, მაგრამ, როდესაც მოგება ვნახე, ამისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და სახლისკენ სკოლის მოსწავლესავით გავიქეცი, – აცხადებს ბარმენი.

ლატარიაში მსხვილი თანხის მოგების შემდეგ რაიტმა ავტომობილი მაზდა-6 შეიძინა, ასევე ფული გამოყო ოჯახისთვის საჭირო ნივთების შესაძენად, სამომავლოდ ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ დასასვენებლად წასვლა აქვს დაგეგმილი, დარჩენილ თანხას კი შავი დღისთვის გადადებს.

ქალმა უფროსს ბებრად მოხსენიების გამო უჩივლა

დიდ ბრიტანეთში საფირმო მაღაზიის მენეჯერმა თავის ხელმძღვანელს სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ ბებერი უწოდა.

72 წლის ჯანეტ უიტი თითქმის 20 წლის განმავლობაში მართავდა მაღაზიას. რაღაც მომენტში მას კამათი მოუვიდა თავის ხელმძღვანელთან, 45 წლის სემ კუპერთან იმის გამო, რომ ის მას უფრო ნაკლებ თანხას უხდიდა, ვიდრე მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღაზიის მმართველს. მან უფროსის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა ასაკობრივი დისკრიმინაციისა და სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლების გამო და სასამართლო პროცესი მოიგო.

გაირკვა, რომ უიტმა კუპერს შესჩივლა უსამართლო ანაზღაურების გამო. ამაზე პასუხად ხელმძღვანელისგან ყვირილი მიიღო და უფროსმა მას ბებერი უწოდა. ეს გამონათქვამი სასამართლომ ასაკობრივ დისკრიმინაციად ჩათვალა და კუპერს ყოფილი თანამშრომლისთვის 17 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კურიერმა მე-12 სართულიდან გადმოვარდნილი გოგონა გადაარჩინა

ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში კურიერმა მე-12 სართულის აივნიდან გადმოვარდნილი ორი წლის გოგონა დაიჭირა და დაღუპვას გადაარჩინა.

31 წლის ნგუენ ნგოკ მანხი თავის სატვირთო მანქანაში იჯდა და კლიენტს ელოდებოდა, როდესაც ბავშვის ტირილის ხმა შემოესმა. შემდეგ ყვირილის ხმა გაისმა, მან თავი ფანჯარაში გაყო და დაინახა პატარა გოგონა ცალი ხელით აივნის მოაჯირზე იყო ჩამოკიდებული. კურიერი ინსტინქტურად გადმოხტა მანქანიდან, უახლოეს სახურავზე აძვრა და შეეცადა, რაც შეიძლება მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც სავარაუდოდ უნდა ჩამოვარდნილიყო გოგონა.

აღნიშნული ინციდენტის ამსახველ ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ვარდება ბავშვი დაახლოებით 50 მეტრის სიმაღლიდან და მანხი მის დაჭერას ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ მან თავადაც დაკარგა წონასწორობა.

კურიერმა გოგონა ჩაიხუტა და შენიშნა, რომ მას პირიდან სისხლი მოსდიოდა. ბავშვი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას თეძოს ამოვარდნა დაუდგინეს. მანხი ხელის კუნთის დაჭიმულობით გადარჩა.

ადგილობრივებმა კურიერი გმირად შერაცხეს. მან ათასობით ქების შეტყობინება მიიღო სოციალურ ქსელებში. თუმცა თავად მანხი თავს გმირად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ, უბრალოდ, კეთილი საქმეების გაკეთებას ცდილობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ამირან არაბული 65 წლისაა

ფოლკლორისტი ამირან არაბული იუბილარია. მას 65 წელი შეუსრულდა. მის სახელსა და გვარს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება საზოგადოების წინაშე, მით უფრო, ფოლკლორულ წრეებში.

ამირან არაბულის ვრცელ რეგალიებს შორის ყველაზე ხშირად ფოლკლორისტი გვხვდება. ალბათ, მისი დიდი ღვაწლი ამ ერთ ტევად სიტყვაში თავსდება.

იგი ნამდვილი პატრონია ხალხური სიტყვიერების ოსტატებისა, მათი ნაშრომ-ნაღვაწისა, მარტო გენიალური მელექსის გაბრიელ გარაშვილის რჩეულის შედგენა-გამოცემა რად ღირს.

მას ყველგან ნახავთ, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, მთასა თუ ბარში, სადაც ქართულ საქმეს უჭირს, მისი განუყოფელი სიტყვა და საქმეა საჭირო. მეუღლესთან ეთერ თათარაიძესთან ერთად ქართული ფოლკლორისთვის ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს, საოცარ მარგალიტებს კრებს და მომავალ თაობებს უტოვებს.

ცალკე ვრცელი საუბრის თემაა მისი თანამშრომლობა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან: ფესტივალი, გამოცემები, ექსპედიციები და ხალხური პოეზიის აღდგენილი საღამო – „ლექსო არ დაიკარგები“

ქრისტინე მარტიაშვილი: „ჩემს აზრს ყოველთვის ღიად გამოვხატავდი!“

მომღერალი ქრისტინე მარტიაშვილი ბერასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ჩანაწერების სიმართლეში დარწმუნებულია:

– ვიცი, რომ ახლა დედაჩემი ისევ გაბრაზდება, ამას რომ ვწერ, მაგრამ ამდენ ადამიანს რომ ვხედავ იგივე მდგომარეობაში და თან ზოგის კომენტარს, რომ შეთითხნილი ისტორიაა, მეცინება, თან ვბრაზდები!

ყოველთვის მაქვს ის შეგრძნება, რომ მისმენენ და ეჭვი გამიმართლდა 3 თვის წინ, როდესაც ეთოს ველაპარაკებოდი, 90-იანებში შუა საუბარში რომ ერთვებოდნენ ტელეფონზე, ისე ჩამერთო ვიღაც გურამი. სულ მგონია, რომ ჩემი სოცქსელიც კონტროლდება.

შარშანწინ, სანამ ბებია კიდევ ცოცხალი იყო, დამირეკა ძალიან აღელვებულმა, ძალიან გთხოვ, სულ 2 წუთით შემომიარეო. ბებიას სიმსივნე ჰქონდა ბოლო 6 წელი, ნახევარი ცხოვრება ჯერ თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა და მერე ჩიტაძეზე, ძალიან უშიშარი ადამიანი იყო. ვიღაცამ დაურეკა და უთხრა, შენ შვილიშვილს დააყენებინე, სანამ ჯანმრთელიაო. ეგეთი აჭრელებული სახით, ეგეთი განერვიულებული და შეშინებული მე ნაზიკო არ მახსოვს. მაშინ სასაცილოდ არ მეყო, ახლა კი ვხვდები, რაშიც იყო საქმე. ვიკამათეთ, ნუ მიკრძალავთ ჩემი აზრის დაფიქსირებას-თქო. მაშინ ბევრად აქტიური ვიყავი, ჩემ გარშემო უამრავ ადამიანს ეშინია აზრის დაფიქსირება და ფაქტია, თავს არიდებენ.

ბერას სიმღერასთან დაკავშირებული ისტორია კი დავწერე, მაგრამ ის, რაც სტუდიაში ვნახე, ეგ აღარ დამიწერია. 2011 წელი იქნებოდა ალბათ, სიმღერა სმს-თვის ვიყავი სტუდიაში, ცოტა ხანში ატყდა განგაში და შემოვარდა ბერა საძმაკაცოთი, ამიკოს მეთაურობით 5-6 ბიჭი. შემოიტანეს მაკბუკები და დაიწყეს ექაუნთების კეთება, ვიღაც ცუდ კომენტარებს მიწერს და გავარკვიოთ ვინ არისო. ამიკომ, მე ორნაირ პროფილს გავაკეთებ, ერთიდან გაგინებ, მეორედან ამ ტიპს გავლანძღავ და გავარკვევ, ვინ არისო. ზუსტად მახსოვს ბერას სიტყვები „ხო იცი, ძმაო, ეგ საიდანაც მოდის?!“ ხოდა, გავარკვიოთო. ნუ მაშინ მე ვერაფერს მივხვდი. გადის რამდენიმე თვე და ბერამ დაიწყო სტატუსების ქართულად წერა, ერთ-ერთი სტატუსი იყო „მამული, ენა, სარწმუნოება!“ რაზეც მივუწერე, კარგია, ქართულად რომ წერდა, მაგრამ სწორი „ენა, მამული, სარწმუნოება!“ იყო. 2 წამში შემომივარდა ამიკო ჩატში და დაიწყო ჩემი ლანძღვა. თურმე როგორ მყვარებია ილია და მილიონი დამამცირებელი ტექსტები. 1% არ მეპარება ეჭვი, რომ ჩანაწერი ნამდვილია...

5 თავი მაბია და ვიტყუები, ბიძინას და ბერას ვეჯიბრები, ვინ უფრო მაგარია ხო! ნაცებმა ფული გადამიხადეს! ის მაინც გეკითხათ, ნაცებს თუ „ვევასები“ საერთოდ?! დებილიოიდები! მე 2-3 დღეში მივავიწყდები ტროლებსაც და ტვ-საც. თქვენ კი მაგ საღორეში და სამონეთში იცხოვრებთ ისევ. ძალიან დაბნეული და განერვიულებული ვიყავი, შესაძლოა ისე ვერ გადმოვეცი სათქმელი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ გამგები გაიგებს. ვისაც სიცრუეში ყოფნა გსურთ კიდევ, იყავით.

აქამდე სად ვიყავი?! შემობრძანებულიყავით ჩემს გვერდზე და გაიგებდით, სადაც ვიყავი. ჩემს აზრს ყოველთვის ღიად გამოვხატავდი! არ მეშინოდა და არც ახლა მეშინია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

რუსული მედია კვარაცხელიას აქებს

ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია მთელი რუსეთის სალაპარაკო გახდა. ჩვენებური იქაური პრემიერლიგის ბრილიანტია და ყველა, ვისაც ფეხბურთთან შეხება აქვს, მის შესახებ გამოთქვამს აზრს. რუსულ მედიაში ყაზანის რუბინის სამწვრთნელო შტაბის წევრმა, ნიკიტა ვასიუხინმა ისაუბრა.

ნიკიტა ვასიუხინი:

– ხვიჩა დღეს რუბინის საკვანძო ფეხბურთელია და თავის პოზიციაზე რუსეთში ერთ-ერთი საუკეთესო. ქართველი ფეხბურთელის ნიჭიერებასა და ტალანტზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ხვიჩამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან მოუმატა, ფიზიკურად მომძლავრდა, ბრწყინვალე დრიბლინგი აქვს და კორპუსის ჩადგმაც უფრო მყარად შეუძლია.

სლუცკი და მისი სამწვრთნელო შტაბი ხვიჩას მუდმივად ერთ ასპექტზე განსაკუთრებულად ამზადებს და ამუშავებს – უნდა გააუმჯობესოს შეტევების დასრულების ფაზა, რაც კარიერული წარმატებისკენ კიდევ უფრო დიდ ნაბიჯს გადაადგმევინებს.

ყოველი მატჩის შემდეგ თეორიულ სწავლებას დიდი ყურადღება ეთმობა. მწვრთნელები ფეხბურთელებს მიუთითებენ, თუ თამაშის რომელ ფაზაში აქვთ მოსამატებელი. ასე არის ხვიჩაც... თუ ადრე მხოლოდ დრიბლინგი ევალებოდა, მოატყუებდა ერთბაშად 3 ფეხბურთელს, ახლა კვარაცხელია ბურთის რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნებას ცდილობს.

შეხედეთ ხვიჩას სტატისტიკას სპარტაკის წინააღმდეგ: მისი ზუსტი პასების პროცენტული მაჩვენებელი 60-ზე დაბალი იყო, მაგრამ ამით გუნდს არაფერი არ დაკლებია. რატომ? კვარაცხელია ბურთს მოედნის ისეთ ადგილზე კარგავს, საიდანაც მეტოქეს კონტრშეტევის წამოწყების შესაძლებლობა არ აქვს. მისი ზუსტი პასებით კი, ძალიან მწვავე შეტევის განხორციელება და გოლის გატანა შეიძლება. ასე მოხდა კვარასა და დესპოტოვიჩის მომენტის დროს, როდესაც ქართველმა სერბს საგოლე პასი გაუკეთა.

რა დონეზეა დღეს კვარაცხელია? შემიძლია ვთქვა, რომ ლევერკუზენისა და სევილიას დონის გუნდებში სათამაშოდ მზადაა. ვფიქრობ, ასეთ გუნდებში ერთ-ერთი ლიდერი და დამნიშვნელოვანი ფეხბურთელი იქნება. დარწმუნებული ვარ, ხვიჩა კიდევ უფრო განვითარდება, რადგან ძალიან ძლიერი შემსრულებელია.

ამასობაში რუბინმა კიდევ ერთი სენსაცია გამოაცხო და ჩემპიონატის ლიდერი, სანკტ-პეტერბურგის ზენიტი 2:1 დაამარცხა. მართალია, ხვიჩას არც გოლი გაუტანია და არც საგოლე პასი გაუკეთებია, მაგრამ რუსული მედია მის როლს მაინც გამოყოფს.

აი, რას წერს პრესა:

– მატჩის ყურებისას ყურადღება კვარაცხელია-დესპოტოვიჩის ტანდემზე გავამახვილეთ, რომელიც ყაზანელთა შეტევაში ტონის მიმცემია. სრულყოფილი ურთიერთმოქმედებით ლეგიონერებმა ამჯერად ვერ გაიბრწყინეს, მაგრამ გამარჯვებისათვის საფუძვლიანად გაისარჯნენ.

კარგი ფეხბურთელი რომ გახდე, ნიჭიერად უნდა დაიბადო. მხოლოდ ფიზიკური მონაცემები და ვარჯიშებზე შრომისმოყვარეობა საკმარისი არაა. საჭიროა ღმერთისგან ბოძებული ნიჭი და ის ხვიჩას თამაშში მოჩანს.

ხვიჩამ თავი პირველივე მატჩებში თავი არასტანდარტულად მოაზროვნედ წარმოაჩინა. ქართველს თამაშის კითხვისას ლოგიკა არ გააჩნია და ზენიტთან მატჩმა ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ქართველი ნახევარმცველის მოქმედების გამოცნობა შეუძლებლად მოჩანდა. მის თავში სვლები ქვეცნობიერში იბადებოდა და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ნაკარნახევი იყო. ხვიჩას დიდი სათამაშო ინტელექტი აქვს. მაგალითად, მატჩის დასაწყისშივე პერსონალურ მეურვე ვიაჩესლავ კარავაევს თავსატეხი გაუჩინა. ხვიჩა ბურთს არ შეეხო, ერთ მხარეს გაატარა და მეორე მხარეს დაეუფლა.

ფეხების სისწრაფემ და ბურთთან არასტანდარტულად მოქმედებამ მცველები არაერთხელ დატოვა გაოცებული. მისი ყოველი ახალი ფოკუსი პრობლემებს უქმნიდა ზენიტის ფეხბურთელებს. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი მცველი დგას მის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვარაცხელია ეგოისტურად არ მოქმედებს და მუდამ მზად იყო თანაგუნდელებთან ბურთით კომუნიკაცია ჰქონოდა. ერთადერთი, რაც ამჯერად ქართველს არ გამოსდიოდა, ეს წინ წაწეულ ჯორჯე დესპოტოვიჩთან ურთიერთქმედება იყო.

საერთო საფეხბურთო ენის მონახვა მათ არ უჭირთ, ახლა კი მხოლოდ ორ-სამჯერ მოახერხეს ამ ენაზე დალაპარაკება, მაგრამ ურთიერთგაგება ვერ შეძლეს.

ხვიჩა არ ერიდება დაცვაში თამაშაც და ართმევაშიც ჩინებულად გამოიყურებოდა. მოჩანდა, რომ შესაბამის უნარებს ფლობს.

კიდევ რა გვხიბლავს ხვიჩაში? ეს ბიჭი ეგოისტი არ არის, მის ქმედებებში არანაირი ქედმაღლობა არ მოჩანს და მოწინააღმდეგეებსაც პატივისცემით ეპყრობა. წააქცევს, წამოაყენებს, მხარზე ხელს მეგობრულად მიარტყამს. თუ თავად აღმოჩნდება გაზონზე (ეს კი რეგულარულად ხდება), სიმულაციას არ დაიწყებს, ადგება და მეტოქისათვის „შავი დღის“ საყრელად გაემართება.

მამუკელაშვილი კონფერენციის სიმბოლურშია

სეტონ ჰოლის ქართველი კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ბიგ ისტის კონფერენციის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ხუთეულში კონფერენციის ყველა გუნდის მწვრთნელმა შეიყვანა, რაც იშვიათი შემთხვევაა. მამუკელაშვილის გარდა, ერთხმად მხოლოდ ერთი კალათბურთელი აირჩიეს – ვილანოვას ჯერემია რობინსონ-ეარლი.

საინტერესოა, რომ სეტონ ჰოლის კალათბურთელი საუკეთესოთა შორის ბოლო 5 წელიწადში მეოთხედ მოხვდა. გასულ წლებში ამ წარმატებას მაილს პაუელმა (2019, 2020), ანხელ დელგადომ (2017) და აიზია უაიტჰედმა (2016) მიაღწიეს.

მამუკელაშვილი კონფერენციაში იმ 2 კალათბურთელს შორისაა, რომლებიც ქულებში, მოხსნებსა და პასებში საუკეთესოთა შორის იმყოფებიან. ჩვენებური მეორეა ქულებში (17.8), მე-6 მოხსნებში (7.3) და მე-13 ასისტებში (3.1).

სანდრომ 20 ან მეტი ქულის ჩაგდება 12 მატჩში მოახერხა, 2-ჯერ კი, 30 ქულასაც უწია. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი გამორჩეულია, რადგანაც სეტონ ჰოლის მძიმე ფორვარდთაგან იდენტური რამ მხოლოდ ლიეტუველ არტურას კარნიშოვასს შორეულ 1993-94 წლების სეზონში მოეხერხებინა.

აღსანიშნავია, სანდრო მამუკელაშვილი ბიგ ისტის კონფერენციის სეზონის საუკეთესო მოთამაშეობის კანდიდატიცაა. მამუკელაშვილი ასევე იბრძვის კარლ მელოუნის პრიზისთვის, რომელიც ნცაას საუკეთესო მძიმე ფორვარდს გადაეცემა. რაც ყველაზე მთავარია, ქართველი იმ 30 კანდიდატს შორისაა, რომელთაგანაც ერთს კოლეჯთა ლიგის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელებენ და ნეისმიტის სახელობის ჯილდოს გადასცემენ.

გარი ნევილი: „ეს უკვე კრახია“

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში ლივერპული შინ 0:1 დამარცხდა ფულემთან და სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზე დაქვეითდა.

„სკაი სპორტის“ რეპორტიორმა, მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა მცველმა, გარი ნევილმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, თუ რა ელოდება მერსისადულ გუნდს უახლოეს მომავალში.

გარი ნევილი:

– სადღეისოდ, ლივერპული ძალიან ცუდი გუნდია. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ის შედარება, რომ რამდენად კარგი იყო ბოლო წლებში. თუ მთხოვთ შედარებას, ბოლო 3 წლის მანძილზე რომელი უკეთესი გუნდია, ლივერპული თუ მანჩესტერ სიტი, მე ლივერპულს ავირჩევ.

მერსისაიდელები წარმოუდგენლად კარგ ფეხბურთს თამაშობდნენ და ძალიან დიდ სიმაღლეს მიაღწიეს. ცხადია, დასაშვები იყო, რომ რაღაც პერიოდში გუნდს ჩავარდნა ექნებოდა. თუმცა, ვფიქრობდი, რომ უფრო მსუბუქი. თუმცა, ეს უკვე ჩავარდნა არ არის – ეს კრახია.

მეჩვენება, რომ გუნდმა დაკარგა ყველაფერი, რაც ჰქონდა. მათი თამაშის სისწრაფე, თავდაჯერებულობა, მიზანმიმართულობა, მოგებისადმი სწრაფვა აღარ შეიმჩნევა. არ ვიცი, ამ ყველაფერს როდის დაიბრუნებენ. ჩემპიონობის ფავორიტები, ახლა ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან. ეს შეუძლიათ, მაგრამ მათ საამისოდ ბრძოლა მოუწევთ, როდესაც ეს პრობლემა სეზონის სტარტზე არც კი განიხილებოდა. გუნდს დაკარგული აქვს თავდაჯერება.

მინდა მჯეროდეს, რომ გუნდში პანიკა არ არის, ხოლო იურგენ კლოპს ეყოფა გამოცდილება და კვალიფიკაცია იმის გასაკეთებლად, რათა ლივერპული სეზონის ბოლომდე ჩვეულ კალაპოტში ჩაყენოს.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ჩელსი-ევერტონი 2:0
ვესტ ჰემი-ლიდსი 2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	28	20	5	3	56-19	65
2.მანჩესტერი	28	15	9	4	55-32	54
3.ლესტერი	28	16	5	7	48-32	53
4.ჩელსი	28	14	8	6	44-25	50
5.ვესტ ჰემი	27	14	6	7	42-31	48
6.ევერტონი	27	14	4	9	39-35	46
7.ტოტენჰემი	27	13	6	8	46-28	45
8.ლივერპული	28	12	7	9	47-36	43
9.ასტონ ვილა	26	12	4	10	38-27	40
10.არსენალი	27	11	5	11	35-28	38
11.ლიდსი	27	11	2	14	43-46	35
12.ვულვზი	28	9	8	11	28-37	35
13.კრ.პალასი	28	9	7	12	30-47	34
14.საუთჰემპტონი	27	9	6	12	33-44	33
15.ბარნლი	28	7	9	12	20-36	30
16.ნიუკასლი	27	7	6	14	27-44	27
17.ფულემი	28	5	11	12	22-33	26
18.ბრაიტონი	27	5	11	11	27-35	26
19.ვესტ ბრომვიჩი	28	3	9	16	20-56	18
20.შეფილდი	28	4	2	22	16-45	14

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-კილი 1:1

ესპანეთი.

ჰიმეჩა დივიზიონი

ბეტისი-ალავესი 3:2

სატუნინიო ცხრილი:

1.ატლეტიკო	25	18	5	2	48-17	59
2.ბარსელონა	26	17	5	4	57-22	56
3.რეალი	26	16	6	4	44-21	54
4.სევილია	25	15	3	7	35-20	48
5.სოსიედადი	26	12	9	5	43-21	45
6.ბეტისი	26	13	3	10	36-40	42
7.ვილიარეალი	26	8	13	5	34-29	37
8.ბილბაო	25	9	6	10	36-29	33
9.სელტა	26	8	9	9	34-40	33
10.გრანადა	26	9	6	11	32-44	33
11.ლევანტე	26	7	11	8	35-35	32
12.ვალენსია	26	7	9	10	32-36	30
13.ოსასუნა	26	7	7	12	23-35	28
14.კადისი	26	7	7	12	22-41	28
15.ხეტაფე	26	7	6	13	21-32	27
16.ვალიადოლიდი	26	5	10	11	25-37	25
17.ელჩე	25	5	9	11	23-37	24
18.ალავესი	26	5	7	14	22-42	22
19.ეიბარი	26	4	10	12	20-29	22
20.უესკა	26	3	11	12	25-40	20

ესპანეთი.

სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-მირანდესი 4:0
ლუგო-ფუენლაბრადა 0:0

იტალია. სერია ა

ინტერი-ატალანტა 1:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ინტერი	26	19	5	2	63-25	62
2.მილანი	26	17	5	4	50-30	56
3.იუვენტუსი	25	15	7	3	51-21	52
4.რომა	26	15	5	6	51-38	50
5.ატალანტა	26	14	7	5	60-33	49
6.ნაპოლი	25	15	2	8	55-29	47
7.ლაციო	25	13	4	8	39-35	43
8.ვერონა	26	10	8	8	34-29	38
9.სასუოლო	25	9	9	7	40-39	36
10.სამპდორია	26	9	5	12	36-39	32
11.უდინეზე	26	8	8	10	29-34	32
12.ბოლონია	26	7	7	12	33-41	28
13.ჯენოა	26	6	9	11	27-38	27
14.ფიორენტინა	26	6	8	12	29-41	26
15.სპეცია	26	6	8	12	33-47	26
16.ბენევენტო	26	6	8	12	26-48	26
17.კალიარი	26	5	7	14	29-43	22
18.ტორინო	24	3	11	10	35-45	20
19.პარმა	26	2	10	14	23-52	16
20.კროტონე	26	4	3	19	28-64	15

იტალია. სერია ბ

კიევო-ვიჩენცა 1:2

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსესი-ბენფიკა 0:3

ხესეთი. პირველი ლიგა

არსენალი-ლოკომოტივი 0:3
რუბინი-ზენიტი 2:1

ბელგია. ა დივიზიონი

გენტი-ოსტენდე 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ქაშიმფაშა 1:1
ტრაბზონი-ალანია 1:3
გიოზთეფე-ერზრუმი 3:1
ქონია-ფენერბახჩე 0:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-აპოლონი 2:0

პოლონეთი. ექსტრაჯლასი

ვარტა-პლოცკი 2:0

უკრაინა. პირველი ლიგა

დნიპრო-ოლეკსანდრია 0:0
რუხი-დესნა 0:4

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-სონდერიისკე 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი ბიზანტიის დედოფალი; 2. პორტატული მფრინავი აპარატი; 3. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქართული სპორტული რადიო; 5. კურორტი რაჭაში; 6. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 9. გუმბათოვანი ტაძარი ქვემო ქართლში; 10. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 11. კუთხე საქართველოში; 14. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. კომბინაცია პოკერში; 18. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 20. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 23. მდგომარეობა ჭადრაკში; 24. იამაიკელი პოპვარსკვლავი მამაკაცი; 25. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 26. კათოლიკური მღვდელმსახურება.

თარაზულად: 7. ძვირფასი ქვა; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 13. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 15. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 19. მგალობელი ჩიტი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი; 22. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 27. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 28. გერმანული ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პელოტა; 2. საცივი; 3. მასკი; 5. რუხი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. შავლაყაძე; 13. ამანათი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. იოდი.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 4. პატრიცი; 7. ლიეტუვა; 9. კანტონი; 10. ფშავი; 12. სემაფორი; 16. კაკაბაძე; 17. ბალანსი; 18. პრევენცია; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბედია; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. გიტი; 5. ყელი; 6. ჭინჭილა; 9. მანდარინები; 10. ანტრაციტი; 11. კომუნიზმი; 14. პემზა; 16. გნომი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. მარსი; 25. შხამი; 26. კინო.

თარაზულად: 7. სამშვილდე; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნა; 13. ლობიო; 15. როდეო; 17. მიხაილოვო; 19. ქანდა; 21. აგუტი; 22. იმოლა; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3202

ევრო — 3.9640

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5835

100 რუსული რუბლი — 4.4518

ამინდის პროგნოზი 10 მარტისათვის

სტივენ ჯერარდი რეინჯერსში დარჩენას აპირებს

გლაზგო რეინჯერსის მთავარი მწვრთნელი სტივენ ჯერარდი გუნდის დატოვებას არ აპირებს და ის დიდი ალბათობით ახალ კონტრაქტს გააფორმებს, თუმცა ზუსტად როდის მოხდება ეს, ცნობილი არ არის.

რეინჯერსთან ერთად ჯერარდმა შოტლანდიის ჩემპიონატი მოიგო და მას ლივერპულში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ეს არ მოხდება. თვითონ ჯერარდმა განაცხადა, რომ ის მომავალში ლივერპულის გაწვრთნას არ გამორიცხავს.

მარკუს რეშფორდმა ტრავმა მიიღო

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა ტრავმა მიიღო და ის დიდი ალბათობით მინიმუმ ერთ კვირას გამოტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ევროპის ლიგის შეხვედრას მილანის წინააღმდეგ გამოტოვებს, რომელიც 11 მარტს გაიმართება.

ოლე გუნარ სოლსკიაერის თქმით, რეშფორდის ტრავმა სერიოზული არ არის და ის დიდი ალბათობით მხოლოდ რამდენიმე მატჩში არ მიიღებს მონაწილეობას.

პოჩეტინო: „მინდა, პსჟ-სთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო“

ფრანგული პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ განაცხადა, რომ მას სურს თავის გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება და ამისთვის ის ყველაფერს გააკეთებს, თუმცა მან კარგად იცის, რომ ეს იოლი არ იქნება:

– ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩემი მთავარი მიზანია და უკან არაფერზე დავიხევ, თუმცა ვიცი, რომ ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდება, რომლებიც უნდა გადავლახოთ. მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ყველა შეხვედრაში მაქსიმუმი გააკეთონ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– როგორი სოლიდური და თავშეკავებული ქმარი გყავს, სიტყვას ვერ ათქმევინებ.

– მეოთხედაა დაქორწინებული და მითხრა, რომ რაც კი სათქმელი ჰქონდა, წინა ცოლებს უკვე უთხრა.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– ბავშვებო, მომავალ გაკვეთილზე ნარკოტიკების მავნებლობაზე ვისაუბრებთ.

ამ დროს ერთ-ერთი მოსწავლე კითხულობს:

– მასწავლებელო, ჩვენი ნარკოტიკები მოვიტანოთ?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ ქალები კაცებზე დიდხანს ცოცხლობენ?

– და მიზეზი?

– და მიზეზი ისაა, რომ სიცოცხლეს სიცილი კი არა, ისტერიკა ახანგრძლივებს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, გოგო, გუშინ გიგიმ დამირეკა და დამემუქრა, კიდევ ერთხელ თუ არ მიპასუხებ ზარზე, მოვალ და გაგაუპატიურებო!

– მერე?

– მერე ტელეფონი გავთიშე, მაგრამ არ მოვიდა ის ნაძირალა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთი დოლიძე თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვეს

თეატრისა და კინოს რეჟისორი ქეთი დოლიძე თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა.

ჯილდო ხელოვანს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განკარგულებით გადაეცა.

ქეთი დოლიძე ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა.

მიეინჭოს ერთ-ერთ ქუჩას ზურა დოიჯაშვილის სახელი

ამ მოთხოვნით ინტერნეტში რიგითი ადამიანები ერთიანდებიან და მომღერლის სახელის უკვდავსაყოფად ერთ-ერთი ქუჩისთვის ზურა დოიჯაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივით გამოდიან:

– მიეინჭოს ერთ-ერთ ქუჩას ზურა დოიჯაშვილის სახელი, – ამ მოთხოვნას სოციალურ ქსელში უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს. მომღერლის ათასობით ერთგულ მსმენელს მიაჩნია, რომ ზურა დოიჯაშვილის უკვდავებისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი და სწორი გადაწყვეტილებაა.

თემურ თათარაშვილი სიმღერის უფლებას ითხოვს

მომღერალი თემურ თათარაშვილი სიმღერის უფლებას ითხოვს და არანაირად არ ესმის, რა დააშავეს მომღერლებმა:

– ვერ ვხდები, ყველაფერი თუ შეიძლება, სიმღერამ რა დააშავა? რა ვქნათ, ვისაც სხვა არანაირი შემოსავალი არ გვაქვს? 1 აპრილს ბანკს რა ვუთხრა? იპოთეკას ვერ გიხდი, 1 აპრილია და მოტყუება ადვილია-თქო თუ რა ჯანდაბა გავაკეთოთ ჩვენ.

ლენუკა ყიფშიძე: „ამ ეტაპზე თანხის შეგროვებას აზრი არ აქვს“

მოდელი ლენუკა ყიფშიძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მათი ოჯახისთვის თანხის შეგროვებას აზრი არ აქვს:

– უღრმესი მადლობა ყველას იმ დიდი გვერდში დგომისთვის, რასაც გამოხატავთ ჩემი ოჯახის მიმართ, მაგრამ ამ ეტაპზე თანხის შეგროვებას აზრი არ აქვს, რადგან ადამიანი, რომელიც საქართველოში ჩამოსულია სხვა ქვეყნიდან, დიდი ალბათობით მისთვის ნაკლებად ღირებული და უცხოა წინაპრებისაგან მიღებული მემკვიდრეობა რამდენად ძვირფასი შეიძლება იყოს ადამიანისთვის.

მას მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღება სურს იმ სახლიდან, რომელშიც ჩემი წინაპრების ოთხი თაობა ცხოვრობდა და გადმოგვეცა მემკვიდრეობით. არ გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვისყიდოთ ჩემი წინაპრების სახლი, დავუბრუნოთ მისი გადახდილი თანხა სრულად, ბოლო თეთრამდე, რაც მან გადაიხადა იმ გაურკვეველ აუქციონზე, სადაც ჩვენ უნდა გვქონოდა პრიორიტეტი შეძენისას და გამოსყიდვისას, როდესაც ბანკმა სიტყვიერად მოგვცა დაპირება, რომ გვექნებოდა ერთი წლის ვადა გამოსყიდვისთვის და ერთ კვირაში მოაწყო სასწრაფოდ, გაურკვეველი მიზეზებით, აუქციონი და მიყიდა ჟან ფრედერიკ პოლსენს.

არ მოგვეცა საშუალება, ჩემი დიდი ბაბუის დატოვებული სახლი დამებრუნებინა, რასაც ბანკი გვიყიდიდა, იმ ადამიანების გამო, ვინც აიღო ბანკიდან სესხი, ჩვენი სახლის უზრუნველყოფით და ხელი მოგვაწერინეს მოტყუებით, როდესაც ჩვენ სხვა ინფორმაცია გვქონდა, რომ მივაქირავეთ კომპანიას, საიდანაც უნდა აგვეღო ქირა და ბანკიდან ჩვენ ერთი ლარიც არ გამოგვიტანია სესხად.

თქვენი გვერდში დგომა და დახმარება გვჭირდება იმაში, რომ ეს ადამიანი ჟან ფრედერიკ პოლსენი მივიყვანოთ იმ აზრამდე, რომ თავის გადახდილი ფულის უკან დაბრუნების საშუალება მოგვცეს და ამის სანაცვლოდ დაგვიბრუნოს ჩემი ოჯახის წინაპრების დატოვებული სახლი.

არ ვთხოვთ ჩვენ მას, რომ რაიმე გვაჩუქოს, რაიმე ფინანსური ზიანი მიადგეს მას, ან ვინმეს, უბრალოდ მოგვცეს საშუალება, რომ გამოვისყიდოთ ჩემი ოჯახის ბინა. რაც ყველაზე გასაკვირი და შეურაცხმყოფელია, ეს ადამიანი, ჟან ფრედერიკ პოლსენი, დღემდე ცდილობს კიდევ ჩვენ დაგვაკისროს ვალი, რასაც ადასტურებს მუქარის წერილი, რომელიც მისმა წარმომადგენლებმა გამოგვიგზავნეს იმის გამო, რომ ჩვენ თურმე ხელს ვუშლით მას ამ სახლში ბიზნესინტერესების განხორციელებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ინდონეზიაში გადაშენებულად მიჩნეული ფრინველი აღმოაჩინეს

ინდონეზიაში, კუნძულ ბორნეოზე აღმოაჩინეს ჩიტი, რომელიც გადაშენებულად ითვლებოდა და პირველად ნახეს ბოლო 170 წლის განმავლობაში.

– როდესაც ჩვენ ფაქტის დადასტურება მივიღეთ, რომ ის შავწარბება მოლაყბე იყო, ვილოცე და აღმოჩენის აღსანიშნავად საზეიმოდ წავედი. ბედნიერი, აღელვებული ვიყავი და საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – განაცხადა ორნიტოლოგმა პანჯი გუსტი აკბარმა.

ორნიტოლოგებმა შავწარბება მოლაყბე პირველად 1850 წელს აღწერეს, როდესაც ამ სახეობის ერთადერთ ცნობილ ეგზემპლარს გადააწყდნენ. მათ შეცდომით განსაზღვრეს, რომ ის კუნძულ იავადან იყო მოფრენილი და არა ბორნეოდან. ამის გამო ადრეული მცდელობები ამ სახეობის სხვა წარმომადგენლები ენახათ, უშედეგოდ დასრულდა.

მას შემდეგაც კი, როდესაც დაშვებული შეცდომა გამოვლინდა, ვერავინ მოახერხა ფრინველის პოვნა, ვინაიდან ბევრი ორნიტოლოგი ვერ ახერხებდა კუნძულ ბორნეომდე მიღწევას.

2016 წელს მეცნიერებმა თხოვნით მიმართეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ მათთვის მოეთხოროთ ადგილობრივი ფრინველების შესახებ. ადგილობრივებმა მუჰამად სურანტომ და მუჰამად რიზკი ფაუზანმა მეცნიერებს განუცხადეს, რომ ისინი ზოგჯერ ტყეში ხედავდნენ შავ-ყავისფერ ჩიტს. გასული წლის ოქტომბერში მათ ერთ-ერთი მათგანის დაჭერა მოახერხეს და მისი ფოტოსურათი მეცნიერებს გადაუგზავნეს.

ფოტოსურათზე აღბეჭდილი ფრინველი ზუსტად დაემთხვა შავწარბება მოლაყბეს გამოსახულებას, რომელიც გადაშენებულად ითვლებოდა.

როგორც კი კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარება დარეგულირდება, მეცნიერები აპირებენ ექსპედიცია მოაწყონ კუნძულ ბორნეოზე შავწარბება მოლაყბეს შესასწავლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 მარტისათვის

ვერძი – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. ** კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **ვერცხელი** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

გისუჩივებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. იაპონური ავტომობილი; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. სასუქად, საწვავად გამოყენებული ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე, ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორი; 19. ისტორიული სახელმწიფო მცირე აზიაში.

თარაზულად: 1. ციტრუსთა მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 4. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 7. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 9. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. პლანეტის თანამგზავრი; 17. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 18. პროფესიონალი დამმენის, მსტოვრის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 21. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 22. საწვავის, ბალასტის ავზები სატრანსპორტო გემზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა